პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 44-ე წელი | № 286 (12798) | შაბათი, 10 დეკემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. პოლიაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვასილ ივანეს-ძე პოლიაკოვი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 9 დეკემბერი.

## წარმატებებს უსურვებენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში

მოსკოვი, 9 დეკემბერი. (საქტასი). ზანზიბარის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ზანზიბარის პრემიერ-მინისტრს მოჰამედ შამტე ჰამადის, რომელშიც საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის მთავრობის და პირადად თავისი სახელით უსურვებს წარმატებებს ზანზიბარის მოსახლეობას ახალი ცხოვრების მშენებლობაში. საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია დეპეშაში, აცხადებს, რომ მზად არის ცნოს ზანზიბარი როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო და დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი.

ზანზიბარის სულთნის ხელდ ჯამშიდ ბინ აბდულასადმი გაგზავნილ მისასალმებელ დეპეშაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გულწრფელი იმედი გამოთქვა, რომ ურთიერთობა სსრ კავშირსა და ზანზიბარს შორის განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხების საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**1963 წლის 9** დეკემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგშია საკითხი: „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა“.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მეორე მდივნები, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნები — მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროების თავმჯდომარეები და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროების თავმჯდომარეები, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც განაგებენ ქიმიური და ნავთობის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებს, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეები, პარტიის ზოგიერთი საქალაქო კომიტეტის, ქალაქთა რაიკომების, სამრეწველო-საწარმოო პარტკომების პირველი მდივნები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტკომების მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიათა თავმჯდომარეები, დიდი ეკონომიური რაიონების საგეგმო კომისიათა თავმჯდომარეები, სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეები და თავმჯდომარეთა მოადგილეები, მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის მინისტრები და მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რუსეთის სფსრ ეკონომიური რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის მთავარ სამმართველოთა უფროსები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტები და მეცნიერები, რომლებიც მუშაობენ ქიმიური მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები და კომკავშირის ზოგიერთი სამხარეო და საოლქო კომიტეტის მდივნები, რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოების თავმჯდომარეები და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების თავმჯდომარეები, ქიმიური მრეწველობის მსხვილ საწარმოთა დირექტორები, მთავარი ინჟინრები და სპეციალისტები, მსუბუქი მრეწველობისა და ქიმიური მანქანათმშენებლობის საწარმოთა დირექტორები, მთავარი ინჟინრები, საკონსტრუქტორო ბიუროების უფროსები, მრეწველობის ამ დარგების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორები, ქიმიური და ნავთობის მრეწველობის დიდ მშენებლობათა ხელმძღვანელები, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა და მშენებლობათა პარტკომების მდივნები და ქიმიური მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პარტორგანიზაციათა მდივნები, ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავენი, ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამხარეო და საოლქო სამმართველოთა უფროსები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა სპეციალისტები, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების „სოფლტექნიკის“ გაერთიანებათა თავმჯდომარეები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, კომიტეტების თავმჯდომარეები, ცენტრალურ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოთა უფროსები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარტიულ-პოლიტიკური მუშაკები, ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების პასუხისმგებელი მუშაკები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

# ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1963 წლის 9 დეკემბერს

**ამხანაგებო!** კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი ...მიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებენ XXII ...ლობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი პარტიის პროგრა...

...როგორც გახსოვთ, ყრილობის გადაწყვეტილებებ..., პროგრამაშიც ხაზგასმულია, რომ **პარტიისა და ხა...ის მთავარი ეკონომიური ამოცანაა კომუნიზმის მატე...იალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.**

პარტია და ხალხი, იყენებენ რა თანამედროვე მეცნი...ებისა და ტექნიკის მიღწევებს საზოგადოების საწარ...ო ძალების ზრდისათვის, მთელ თავიანთ მეცადინეო...ს ახმარენ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ...არგების დაჩქარებულ განვითარებას. პარტიის ეს მუ...ობა, ისევე როგორც მთელი მისი საქმიანობა, მიზნად ...სახავს ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობე...ბას, მის მზარდ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრუ...ად დაკმაყოფილებას.

ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის ...ლენუმებმა შეიმუშავეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძი...ბანი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს წარმოების ორგა...ზაცია როგორც მრეწველობასა და მშენებლობაში, ისე ...ოფლის მეურნეობის დარგშიც, გაუმჯობესდეს სახალ...ო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა.

...ივნისის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა პარტიის ...დეოლოგიური მუშაობის, მშრომელთა კომუნისტური ...ზრდის საკითხები. პარტია ყოველთვის განუხრელად ...ავშირებდა და აკავშირებს თავის მუშაობაში სამეურ...ო მშენებლობის ამოცანებს ხალხის აღზრდასთან კო...ნიზმის მაღალი იდეალების სულისკვეთებით. ამრი...დ, ცენტრალური კომიტეტის წარსული პლენუმები და ...ლანდელი პლენუმი მიძღვნილია იმისადმი, რომ პარ...ის პროგრამით დასახული უაღრესად აქტუალური ...ოცანები გადაიჭრას საშინაო და საერთაშორისო ხასია...ს კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

ჩვენი პარტია უცვლელად ხელმძღვანელობს ლენი...ი მითითებებით, რომ რევოლუციის გამარჯვების შე...ეგ სამეურნეო მშენებლობა, ეკონომიკა კომუნიზმისა...ის ბრძოლის მთავარი ასპარეზია. სულ მცირე, რომ ...ქვათ, გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ ლა...ი სიტყვები, ზოგადი რევოლუციური მოწოდებანი, ...გადი მსჯელობანი სოციალიზმის სიკეთისა და უპირა...სობათა შესახებ მეტ ზემოქმედებას ახდენენ მასებზე, ...რე პრაქტიკული წარმატებანი ახალი საზოგადოების ...ენებლობაში.

...ლამაზი შთამაგონებელი სიტყვები რევოლუციის შე...ებ, როცა ეს რევოლუცია მზადდება და ხდება, აღან...ბს ადამიანებს და რაზმავს მათ კაპიტალიზმის წინაა...დეგ საბრძოლველად. დიდია რევოლუციური მოწოდე..., ლოზუნგის ძალა. მაგრამ თუ რევოლუციის გამარჯ...ის შემდეგ განვაგრძობთ მარტოოდენ ზოგადი ლო...ნგების გამოცხადებას და სერიოზულად არ მოვკი...ბთ ხელს პრაქტიკულ საქმიანობას სოციალიზმისა და ...უნიზმის მშენებლობაში, მაშინ ხალხისადმი კეთილ...ბილური მოწოდებანი დაშორდება პარტიის პრაქ...კულ საქმიანობას. აქ უკვე მარტო ლოზუნგები, რო... საჭირო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონკ...ტულ მატერიალურ შინაარსს, პრაქტიკულ მუშაობას ...ლი საზოგადოების, მისი ეკონომიკის, მისი კულტურის ...ენებლობისათვის.

პარტიული ორგანოების გარდაქმნამ საწარმოო პრინ...პით, რაც ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა სა...ძველზე განხორციელდა, შესაძლებლობა მისცა პარ...ულ ორგანიზაციებს, უფრო კონკრეტულად და მიზან...რთულად იმუშაონ მრეწველობისა და სოფლის მეუ...ობის საკითხებზე, მტკიცედ და თანმიმდევრულად გადაჭრან წარმოების ძირეული საკითხები. განხორციელდა დიდი ღონისძიებანი დაგეგმვის გაუმჯობესების ა თ ვ ი ს, ტექნიკური პოლიტიკის ცენტრალიზაციისათვის, კაპიტალურ მშენებლობაში წესრიგის დამყარებისათვის. ამ ღონისძიებებს უკვე მოაქვთ დადებითი შედეგები, ხოლო მომავალში, უეჭველია, კიდევ მეტი ძალით იჩენენ თავს.



საბჭოთა კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია უკანასკნელ ათ წლიწადში 2,7-ჯერ გაიზარდა. თითქმის ერთიორად გადიდდა შრომის ნაყოფიერება, აშენდა 8.500 ახალი დიდი საწარმო.

ჩვენ შევეჩვიეთ ჩვენი ეკონომიკის განვითარების მაღალ ტემპებს, მიგვაჩნია, რომ ისინი ჩვეულებრივი და ბუნებრივია. მაგრამ, ამხანაგებო, ჩაუფიქრდით ამ ციფრების მნიშვნელობას. გიგანტის გვერდით, როგორიც იყო ჩვენი ინდუსტრია უკვე 1953 წელს, ერთ ათწლეულში აშენდა კიდევ ორი ასეთი გიგანტი! ეს, როგორც კოსმოსში გაფრენა, აღგვაფრთოვანებს. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საამაყოც და სასიხარულოც.

შეხედეთ, როგორ გაიზარდა უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება:

| | წარმოების მოცულობა 1953 წელს | წარმოების მოცულობა 1963 წელს (მოსალოდნელი) | აბსოლუტური მატება | გადიდება |
|---|---|---|---|---|
| თუჯი (მილიონი ტონა) | 27,4 | 58,7 | 31,3 | 2,1-ჯერ |
| ფოლადი (მილიონი ტონა) | 38,1 | 80,0 | 41,9 | 2,1-ჯერ |
| მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია (მილიარდი მანეთი | 12 | 48 | 36 | 4-ჯერ |
| ელექტროენერგია (მილიარდი კილოვატ-საათი) | 134,3 | 411,6 | 277,3 | 3,1-ჯერ |
| ნავთობი (მილიონი ტონა) | 52,8 | 205,5 | 152,7 | 3,9-ჯერ |
| გაზი (მილიარდი კუბური მეტრი) | 8 | 91,6 | 83,6 | 11-ჯერ |
| ქვანახშირი (მილიონი ტონა) | 320 | 530 | 210 | 1,7-ჯერ |
| მინერალური სასუქები (მილიონი ტონა) | 7 | 20 | 13 | 2,9-ჯერ |
| სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (ათასი ტონა) | 103,6 | 580 | 476,4 | 5,6-ჯერ |
| ქიმიური ბოჭკო (ათასი ტონა) | 62,3 | 310 | 247,7 | 5-ჯერ |
| ცემენტი (მილიონი ტონა) | 16,0 | 60,6 | 44,6 | 3,8-ჯერ |
| ყველა სახეობის ქსოვილები (მილიონი გრძივი მეტრი) | 6.260 | 8.634 | 2.374 | 1,4-ჯერ |
| ხასაცვალე და ზედა ტრიკოტაჟი (მილიონი ცალი) | 341 | 686 | 345 | 2-ჯერ |
| ტყავის ფეხსაცმელი (მილიონი წყვილი) | 238 | 461 | 223 | 1,9-ჯერ |

ავეჯის გაყიდვა ათ წელიწადში 5,2-ჯერ გადიდდა, მაცივრებისა და ტელევიზორებისა — 17-ჯერ, რადიომიმღებებისა — 2,6-ჯერ, საათებისა — 1,7-ჯერ, ველოსიპედებისა — 1,6-ჯერ, მოტოციკლებისა — 4,8-ჯერ.

მნიშვნელოვანი მიღწევებია სოფლის მეურნეობაშიც. ყამირი მიწების ათვისების, მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის მეოხებით ბევრად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფო შესყიდვა. შარშან შესყიდულია მეტი, ვიდრე 1953 წელს: მარცვლეული — 1,8-ჯერ, ხორცი — 2,4-ჯერ, რძე — 2,7-ჯერ, კვერცხი — 3,2-ჯერ, შაქრის ჭარხალი — თითქმის 2-ჯერ, ბამბა — 12 პროცენტით.

თქვენ იცით, რომ წლევანდელი წელი განსაკუთრებით არახელსაყრელი იყო კლიმატური პირობებით.

მკაცრმა ზამთარმა, ხოლო შემდეგ სასტიკმა გვალვამ ზარალი მიაყენა ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო რაიონებს. მოსავალი მივიღეთ ნაკლები, ვიდრე შარშან, ხოლო საშემოდგომო კულტურები მილიონობით ჰექტარზე დაიღუპა. ამ რთულ პირობებში კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, საწარმოო სამმართველოთა მუშაკებმა მაღალი ორგანიზებულობა გამოიჩინეს იმისათვის, რომ დაეძლიათ მკაცრი ზამთრისა და გვალვის სერიოზული შედეგები, უზრუნველეყოთ ჩვენი ქვეყანა პურითა და სხვა პროდუქტებით.

ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის ფედერაციის ბევრი რაიონის მშრომელებმა. კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 202 მილიონი ფუთი მარცვალი — 52 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. გეგმით გათვალისწინებული 127 მილიონი ფუთის ნაცვლად 175 მილიონი ფუთი მარცვალი მისცა სამშობლოს სტავროპოლის მხარემ, 165 მილიონი ფუთი — სარატოვის ოლქმა.

უკრაინის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წლის ძნელ პირობებში შეძლეს თითქმის 600 მილიონი ფუთი მარცვალი მიეყიდათ სახელმწიფოსათვის. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლის დამზადების გეგმა დასავლეთ ყაზახეთის მხარის ყამირის ოლქებმა, სამხრეთ ყაზახეთის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. შესანიშნავად იშრომეს მოლდავეთის სსრ მშრომელებმა — რესპუბლიკამ სახელმწიფოს მიჰყიდა 40 მილიონ ფუთზე მეტი პური.

თვალსაჩინო შრომითი გამარჯვება მოიპოვეს უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. მათ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბამბის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი. დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა 3 მილიონ 670 ათასი ტონა ბამბა — 759 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამ თარიღისათვის. გადაჭარბებით შეასრულეს ბამბის დამზადების გეგმა ყირგიზეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. შარშანდელზე გაცილებით მეტი ბამბა დაამზადეს ტაჯიკეთსა და თურქმენეთში. მთლიანად ჩვენს ქვეყანაში შესყიდულია 5 მილიონ 130 ათასი ტონა ბამბა. ეს ყველაზე მაღალი მოსავალია საბჭოთა მებამბეობის მთელი ისტორიის მანძილზე. საქართველოს რესპუბლიკამ სახელმწიფოს ჩააბარა 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, წელს გადააჭარბა 1965 წლისათვის დასახულ დონეს.

სოფლის მეურნეობის მხოლოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სისტემას შეეძლო წინააღდგომოდა სტიქიის ამ შემოტევას. პატივი და დიდება ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

აი როგორია 1953 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის დამზადების მოცულობა მიმდინარე წელს:

| | დამზადების მოცულობა 1953 წელს | დამზადების მოცულობა 1963 წელს (მოსალოდნელი) | აბსოლუტური მატება | გადიდება |
|---|---|---|---|---|
| მარცვალი (მილიონი ფუთი) | 1.899 | 2.735 | 836 | 1,4-ჯერ |
| ბამბა (მილიონი ტონა) | 3,9 | 5,2 | 1,3 | 1,3-ჯერ |
| შაქრის ჭარხალი (მილიონი ტონა) | 22,9 | 42 | 19,1 | 1,8-ჯერ |
| კარტოფილი (მილიონი ტონა) | 5,4 | 8 | 2,6 | 1,5-ჯერ |
| ბოსტნეული (მილიონი ტონა) | 2,5 | 6,3 | 3,8 | 2,5-ჯერ |
| მზესუმზირა (მილიონი ტონა) | 1,8 | 3,1 | 1,3 | 1,7-ჯერ |
| ხორცი (მილიონი ტონა) | 3,6 | 9,4 | 5,8 | 2,6-ჯერ |
| რძე (მილიონი ტონა) | 10,6 | 28,8 | 18,2 | 2,7-ჯერ |
| კვერცხი (მილიარდი ცალი) | 2,6 | 8,7 | 6,1 | 3,3-ჯერ |
| მატყლი (ათასი ტონა) | 197 | 384 | 187 | 1,9-ჯერ |

თუმცა მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში დამზადებულია 836 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1953 წელს, მაინც წელს მარცვლეული, უმთავრესად ხორბალი, არ გვყოფნის. მთავრობა იძულებული იყო გარკვეული რაოდენობით ეყიდა პური საზღვარგარეთ. აღმოჩნდნენ, თურმე, ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მსჯელობენ: როგორ მოხდა ეს, წინათ, როცა მარცვლეულის საერთო მოსავალი ნაკლები იყო, ჩვენ თვითონ ვყიდდით პურს, ახლა კი ვყიდულობთო.

რა შეიძლება ვუთხრათ ასეთ ადამიანებს? მოსახლეობის პურით უზრუნველყოფაში სტალინის, მოლოტოვის მეთოდით რომ ვიმოქმედოთ, მაშინ მიმდინარე წელსაც შეიძლება გავყიდოთ პური საზღვარგარეთ. მეთოდი ასეთი იყო: პურს საზღვარგარეთ ჰყიდდნენ, ზოგიერთ რაიონში კი პურის უქონლობის გამო ადამიანები შიმშილით სივდებოდნენ და იხოცებოდნენ კიდევაც. დიახ, ამხანაგებო, ეს ფაქტია, რომ 1947 წელს ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ოლქებში, მაგალითად, კურსკის ოლქში, ადამიანები შიმშილით იხოცებოდნენ. პურს კი მაშინ ჰყიდდნენ! პარტიამ გადაჭრით დაგმო და სამუდამოდ მოუღო ბოლო ასეთ მეთოდებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ, ხალხის ინტერესების შესაბამისად, ზედმეტი სიძნელე რომ არ შეექმნას მოსახლეობას, გადაწყვიტეს შეისყიდონ დანაკლისი მარცვლეულის ნაწილი. ვფიქრობთ, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი მოიწონებს ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ამ ღონისძიებებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდას ანალიზს რომ ვუკეთებთ, ხაზგასმით უნდა აღვნი-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

შნოთ, რომ გადაჭრით შეიცვალა სახელმწიფო დამზადების, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სტრუქტურა.

**1940 წელს** კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებდნენ ერთ მილიონ 360 ათას ტონა ხორცს, ხოლო კოლმეურნეები თავიანთი პირადი მეურნეობიდან სავალდებულო ჩაბარების წესით — 805 ათას ტონას, ესე იგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩაბარების ნახევარზე მეტს; რძეს შესაბამისად — 4 მილიონ 259 ათას ტონას კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, 2 მილიონ 194 ათას ტონას — კოლმეურნეთა პირადი მეურნეობანი; კვერცხს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აბარებდნენ 185 მილიონ ცალს, ხოლო პირადი მეურნეობანი — 2 მილიარდ 494 მილიონ ცალს.

**1953 წელს** კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებდნენ 2 მილიონ 956 ათას ტონა ხორცს, ხოლო კოლმეურნეები თავიანთი პირადი მეურნეობიდან — 649 ათას ტონას; რძეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აბარებდნენ 7 მილიონ 554 ათას ტონას, კოლმეურნეები — 3 მილიონ 92 ათას ტონას; კვერცხს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აბარებდნენ 1 მილიარდ 445 მილიონ ცალს, კოლმეურნეები — 1 მილიარდ 173 მილიონ ცალს.

იმის შედეგად, რომ პარტიამ განახორციელა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებანი, კოლმეურნეობებში შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ გაუქმებულიყო პროდუქტების სავალდებულო წესით ჩაბარება კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების კომლებიდან. ეს ღონისძიება, როგორც ცნობილია, პარტიამ განახორციელა XX ყრილობის ცოტა ხნის შემდეგ. პროდუქციის ნამეტს, რაც კოლმეურნეს აქვს, იგი აბარებს კოოპერაციას ან ჰყიდის საკოლმეურნეო ბაზარზე.

**1962 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილმა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვაში შეადგინა: ხორცისა — 86 პროცენტი, რძისა — 95 პროცენტი და კვერცხისა — დაახლოებით 70 პროცენტი.**

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის სტრუქტურის ასეთი შეცვლა დიდი სოციალურ-პოლიტიკური გამარჯვებაა. ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ესე იგი სოციალისტური სექტორი, და არა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს როგორც პურზე, ისე კვების სხვა პროდუქტებზე, ამარაგებენ მრეწველობას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით. ჩვენ კანონიერად ვამაყობთ ამ გამარჯვებით.

ძირეულ ცვლილებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურაში, სამწუხაროდ, საკმაო ანალიზს როდი უკეთებენ ჩვენი ეკონომისტები, სუსტად განმარტავენ პრესასა და ზეპირ პროპაგანდაში, რის გამოყენებასაც ცდილობენ სოციალიზმის მოწინააღმდეგენი, რომლებიც ავრცელებენ ცილისწამებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წყობილების შესახებ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების სრული გამარჯვება მთლიანად აცამტვერებს მტრების მონაჭორებს, რომ რაღაც უპირატესობა აქვს კერძო, ინდივიდუალურ მეურნეობას სოციალისტურთან შედარებით.

საზოგადოებრივი წარმოების სწრაფმა ზრდამ უზრუნველყო ის, რომ ათწლეულში ეროვნული შემოსავალი 2,3-ჯერ გაიზარდა. მშრომელთა რეალური შემოსავალი (ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით) 61 პროცენტით გადიდდა. მოსახლეობის მიერ საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული გასასახდელები და შეღავათები გაიზარდა 17 მილიარდი მანეთით, ანუ 2,3-ჯერ.

თვითეული საბჭოთა ადამიანი კარგად ხედავს, თუ რა უდიდესი გარდაქმნები მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, ხალხის ცხოვრების მატერიალურ და კულტურულ პირობებში, საკუთარი გამოცდილებით გრძნობს ყოველივე დადებითს, რაც მას განვლილმა ათწლეულმა მისცა.

ჩვენს ქვეყანაში გაშლილია გიგანტური საბინაო მშენებლობა. ბინების რიცხვით, რომლებიც ყოველწლიურად შენდება, საბჭოთა კავშირმა შორს გაუსწრო ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ათი წლის მანძილზე 1954 წლიდან 1963 წლამდე ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო სასარგებლო ფართობია 630 მილიონი კვადრატული მეტრი — 17 მილიონზე მეტი ბინა და სოფლად — დაახლოებით 6 მილიონი სახლი. ახალ სახლებში შესახლდა და საბინაო პირობები გაიუმჯობესა 108 მილიონმა კაცმა — საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარმა.

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჩვენ გვინდა უფრო მეტის გაკეთება და აუცილებლად მივაღწევთ ამას!

ეკონომიკის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კურსმა, რომელიც პარტიამ აიღო. ამ ბოლო ათ წელიწადში შეიქმნა 22 ათასზე მეტი ახალი ტიპის მანქანები, მექანიზმები, აპარატები, სხვადასხვა მოწყობილობა, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო მიღწევათა დონეზე დგანან. თანამედროვე მოწყობილობის წარმოების ორგანიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა უზრუნველგვეყო სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ხელახალი ტექნიკური შეიარაღება. ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვის შედეგად მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში განახლდა ძირითადი საწარმოო ფონდების თითქმის ნახევარი.

განვლილი ათწლეულის თითქმის ნახევარი მოდის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხორციელების წლებზე. ახლა, შვიდწლედის მეხუთე წლის დამლევს, შეიძლება სრული რწმენით ვთქვათ, რომ სამრეწველო წარმოების ზრდის დავალებებს გადაჭარბებით შევასრულებთ. დასახული იყო ხუთ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქცია გაგვედიდებინა 51 პროცენტით, ფაქტიურმა ზრდამ კი 58 პროცენტი შეადგინა.

შვიდწლედის ხუთ წელიწადში ჩვენი ქვეყანა შვიდწლედის დავალებათა გადამეტებით მიიღებს 14 მილიონ ტონაზე მეტ ფოლადს, 22 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს, დაახლოებით 3 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს, 3,8 მილიონ საავტომობილო საბურავებს, 900 მილიონ მანეთისაზე მეტ ხელსაწყოებსა და ავტომატიზაციის საშუალებებს, 5 მილიონი მანეთის ქიმიურ მოწყობილობას, 27 მილიონ კუბურ მეტრ ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმსა და ბევრ სხვა პროდუქციას. დაახლოებით 3 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით შესრულდება მოხმარების საგნების წარმოების შვიდწლედის დავალებანი. ხუთ წელიწადში გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 1,3 მილიარდი მეტრი ბამბის ქსოვილები, დაახლოებით 90 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი.

ახლა, როცა საგეგმო ორგანოებმა სახალხო მეურნეობის საბჭოების, ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების მონაწილეობით შეიმუშავეს 1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტი, ჩანს, რომ **სამრეწველო პროდუქციის წარმოების დონის შვიდწლიანი გეგმის დავალებანი ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდება.**

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი დიდ ლაშქრობაშია იმ დიადი პროგრამის შესრულებისათვის, რომელიც დასახულია პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში, საჭიროა არ დავკარგოთ არც ერთი დღე, გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობანი, მთელი რეზერვები, რათა კიდევ უფრო სწრაფად, ფართო ფრონტით, ვიაროთ ჩვენი დიადი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის გადიდება. უკეთ უნდა გამოვიყენოთ ძირითადი საწარმოო ფონდები, შევამციროთ სამრეწველო ობიექტების მშენებლობის ვადები, უფრო სწრაფად ავითვისოთ მათი სიმძლავრენი, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. ჩვენ ფართო გზა უნდა გავუხსნათ ტექნიკისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების ყველაზე პროგრესული მიმართულებების განვითარებას.

**ერთ-ერთი ასეთი დარგია ქიმიური მრეწველობა.**

ამ ბოლო წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი მეორედ განიხილავს თავის პლენუმებზე ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხს. როგორც გახსოვთ, პირველად ეს საკითხი განვიხილეთ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე 1958 წელს.

რატომ აქცევს ასეთ ყურადღებას პარტია ქიმიურ მრეწველობას? რით არის გამოწვეული ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება იმით, რომ დავაჩქაროთ ამ დარგის განვითარება? ცნობილია, რომ ტექნიკისა და საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში იყო ახალ მეცნიერულ აღმოჩენებთან დაკავშირებული გარდატეხის ეტაპები. ეს იყო ნამდვილი რევოლუციები საწარმოო ძალების განვითარებაში, რომლებიც გამოიწვია ორთქლის, შიდაწვის ძრავის, ელექტრობის ენერგიის გამოყენებამ. ჩვენს საუკუნეში განუზომლად დაჩქარდა ტექნიკური პროგრესი დიადი აღმოჩენების შედეგად ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და მათემატიკაში.

ისტორიული დამსახურება ჩვენი ლენინური პარტიისა, რომელიც მთელ თავის საქმიანობას აგებს მეცნიერულ საფუძველზე, ის არის, რომ იგი გამოდიოდა და გამოდის მსოფლიო ასპარეზზე არა მარტო როგორც რევოლუციური პარტია პოლიტიკის დარგში, არამედ როგორც მძლავრი რევოლუციური ძალა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში.

განა საგულისხმო არ არის, რომ 1920 წელს, როცა ინგლისელი მწერლის უელსის გამოთქმით, რუსეთი წყვდიადით იყო მოცული, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა წამოაყენა რუსეთის სახელმწიფო ელექტროფიკაციის იდეა, რაც განასახიერა ცნობილმა გოელროს გეგმამ, რომელსაც ჩვენი პარტიის მეორე პროგრამა უწოდეს. შეხედეთ, ამხანაგებო, რა დიდად აფასებდა ლენინი პარტიის ეკონომიური პროგრამის მნიშვნელობას მთელ მის საქმიანობაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მატერიალური საფუძვლის შექმნისათვის. ვ. ი. ლენინს ეკუთვნის მოსწრებული სიტყვები: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია". ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ცოცხალი რომ იყოს, ალბათ ახლა დაახლოებით ასე იტყოდა: კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, პლუს სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის შესახებ ლენინური ანდერძის შესრულებამ საშუალება მისცა კომუნისტთა პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ძველი რუსეთი გადაექციათ მძლავრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. ახლა საბჭოთა ქვეყანა მსოფლიოს მეორე სახელმწიფო გახდა სამრეწველო წარმოების დონით და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ გავხდებით მსოფლიოს პირველი, ყველაზე მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფო.

**მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, უკანასკნელი წლების საბჭოთა და საზღვარგარეთული პრაქტიკა სულ უფრო სრულად ავლინებენ ქიმიური ინდუსტრიის მზარდ პოტენციურ შესაძლებლობებს, ამაღლებენ მის როლს საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში.**

როცა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ღონისძიებებს ვამუშავებთ, წინ ვდგამთ ახალ დიდ ნაბიჯს მთლიანად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და განსაკუთრებით ისეთი საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარების გზაზე, როგორიც არის სოფლის მეურნეობა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, როცა გადაწყვიტა ერთხელ კიდევ განეხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საკითხი ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ. არსებითად ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ყველაზე მიზანშეწონილი გზებისა და საშუალებების შესახებ.

მოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სინთეზური მასალების წარმოებაში ქიმიის წარმატებებმა ტექნიკის უახლესი დარგების ატომური ენერგეტიკის, რადიოელექტრონიკის, რეაქტიული ტექნიკისა და სხვა დარგების სწრაფი განვითარების პირობები შექმნა.

თუ თვალს გადავავლებთ საზღვარგარეთის გამოცდილებას, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ომისშემდგომ წლებში წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში ქიმიური მრეწველობა ვითარდებოდა უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე სამრეწველო წარმოება მთლიანად.

რა არის ყველაზე დამახასიათებელი საზღვარგარეთის ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის?

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ძირეულად შეიცვალა ქიმიური მრეწველობის წამყვანი დარგების ნედლეულის ბაზა. ქვანახშირის, საკვები ნედლეულისა და სხვა მცენარეული ნედლეულის ნაცვლად ორგანული სინთეზის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების, სინთეზური მასალების, აზოტოვანი სასუქებისა და ბევრი სხვა ქიმიკატების წარმოება, ახლა ემყარება ნავთობის გაზისა და ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამუშავებას.

აგრეთვე დამახასიათებელია, რომ ქიმიური მრეწველობის მრავალი დარგიდან ყველაზე სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოების და მინერალური სასუქების წარმოება. ქიმიური მრეწველობის ზრდის ასეთი ტემპები აიხსნება იმით, რომ მას განსაკუთრებით დიდი ეკონომიური ეფექტიანობა აქვს. ამერიკის პრესის მონაცემებით, მოგება, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ქიმიური კომპანიები იღებენ, მნიშვნელოვნად (ხშირად 80 და მეტი პროცენტით) აღემატება საშუალოდ მთელი დამმუშავებელი მრეწველობის მოგებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წამყვანი ქიმიური კონცერნების მოგება, რომლებიც აწარმოებენ ნავთობქიმიურ პროდუქტებს.

1957-1962 წლების პერიოდში კაპიტალურმა დაბანდებებმა ამერიკის შეერთებული შტატების ქიმიურ მრეწველობაში შეადგინა 22 მილიარდი დოლარი, ანუ მრეწველობაში მთელ კაპიტალურ დაბანდებათა დაახლოებით 13 პროცენტი; ინგლისსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში კაპიტალური დაბანდებანი ქიმიურ მრეწველობაში შეადგენდა 10-12 პროცენტს. ქიმიური ინდუსტრია სწრაფი ტემპით იზრდება აგრეთვე საფრანგეთში, იტალიასა და იაპონიაში.

ჩვენს ქვეყანაში ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წელი) პლენუმის შემდეგ ქიმიური მრეწველობის განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა. და უნდა ითქვას, რომ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. ფართო მასშტაბებით გაიშალა ქიმიური ქარხნებისა და საამქროების მშენებლობა. ამ დარგში კაპიტალური დაბანდებანი შვიდწლედის ხუთ წელიწადში 5,3 მილიარდი მანეთი იქნება, რაც თითქმის ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე მაისის პლენუმამდე საბჭოთა ხელისუფლების მთელი 40 წლის მანძილზე. ქიმიურ ინდუსტრიაში კაპიტალურ დაბანდებათა საშუალო წლიურმა მატებამ ხუთ წელიწადში მიაღწია 27 პროცენტს, მაშინ როცა მთლიანად სახალხო მეურნეობაში იგი შეადგენდა 9,6 პროცენტს. ასეთი ტემპით ჩვენში არ განვითარებულა არც ერთი სხვა დარგი.

**ხუთ წელიწადში მწყობრში ჩადგა 85 ქარხანა და ორას ორმოცდაათზე მეტი მსხვილი ქიმიური წარმოება.** ბაშკირეთში, ვოლგისპირეთში, აზერბაიჯანში, ციმბირსა და შუა აზიაში უაღრესად ეკონომიურ სახეობათა ბუნებრივი ნედლეულის ბაზაზე შეიქმნა ქიმიური პროდუქციის მრეწველობის ახალი დიდი ცენტრები. **ქიმიური მრეწველობის ძირითადი ფონდების ორი მესამედი ის ქარხნები და საამქროებია, რომლებიც შვიდწლედის წლებში აშენდა.**

ახალი სიმძლავრეების მწყობრში ჩადგომამ, მოქმედ საწარმოთა ინტენსიფიკაციამ საშუალება მოგვცა ამ წლებში ქიმიური პროდუქციის გამოშვება გაგვედიდებინა 89 პროცენტით, მაშინ როცა მთელი სამრეწველო პროდუქცია 58 პროცენტით გადიდდა. სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების წარმოება ამ დროის მანძილზე გადიდდა 2,3-ჯერ, ქიმიური ბოჭკოებისა — 1,9-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 1,6-ჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა სინთეზური კაუჩუკის, ავტომობილის სალტეების, გოგირდმჟავისა და სხვა პროდუქციის გამოშვება.

მაგრამ თქვენ კარგად გესმით, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარების ახლანდელი დონე მარტო იმას კი არ უნდა შევადაროთ, რაც 1958 წელს იყო, არამედ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებასა და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ახლა აქვს ჩვენს ქვეყანას.

**ახლა დასახულია ამოცანა ყოველნაირად დავაჩქაროთ ქიმიური მრეწველობის განვითარება და ამ საფუძველზე დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ქიმიზაცია.** შეიძლება ამისათვის მოგვიხდეს მრეწველობის ცალკეული დარგების ზრდის ტემპების დროებით რამდენადმე შენელება. როცა ჩვენ მძლავრი ქიმიური ინდუსტრია გვექნება, მაშინ არა მარტო დავაჩქარებთ ტექნიკურ პროგრესს მატერიალური წარმოების მთელ სფეროში, შევქმნით კვების პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საგნების სიუხვეს, არამედ დიდ დაგროვებასაც მივიღებთ, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო სწრაფად წავწიოთ წინ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

ნება მიბოძეთ გადავიდე უახლოეს შვიდ წელიწადში ქიმიური მრეწველობის განვითარების ძირითადი ამოცანებისა და სახალხო მეურნეობაში ქიმიური მასალების გამოყენების მთავარ მიმართულებათა განხილვაზე.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აწონ-დაწონა ჩვენი მოთხოვნილებანი, რეალურად გაითვალისწინა შესაძლებლობანი, რომლებიც ახლა გვაქვს, და პლენუმის განსახილველად შემოიტანა ქიმიური მრეწველობის განვითარების შემდეგი პროგრამა:

ძირითად სახეობათა ქიმიური პროდუქციის წარმოების ზრდა 1970 წლამდე:

| დასახელება | 1963 წ. | 1965 წ. | 1970 წ. | ზრდა 1970 წლის 1963 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| ქიმიური მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების მთლიანი პროდუქცია შესადარ ფასებში (მილიარდი მან.) | 8 | 10,5 | 24—26 | 3—3,3-ჯერ |
| მინერალური სასუქები — სულ (მილიონი ტონა) | 20,0 | 35 | 70—80 | 3,5—4-ჯერ |
| მცენარეთა დაცვისა და მავნებლებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებანი მოქმედ საწყისზე გადაანგარიშებით (ათასი ტონა) | 59,7 | 125,9 | 450 | 7,5-ჯერ |
| პლასტმასები და სინთეზური ფისები (ათასი ტონა) | 580 | 950 | 3500—4000 | 6—6,9-ჯერ |
| ქიმიური ბოჭკოები — სულ (ათასი ტონა) | 310 | 444 | 1350 | 4,4-ჯერ |
| ავტომობილის სალტეები (მილიონი ცალი) | 22,5 | 26,0 | 44 | 2-ჯერ |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქიმიური პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა შემდეგი შვიდწლედის განმავლობაში გაიზრდება 3-3,3-ჯერ, ამასთან ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა უნდა შეადგინოს 17-19 პროცენტი. ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წილი სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1970 წლისათვის თითქმის გაორკეცდება.

**შვიდი წლის განმავლობაში უნდა აშენდეს დაახლოებით 200 ახალი საწარმო და განხორციელდეს 500-ზე მეტი მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქცია.** ამ მიზნისათვის 25 მილიარდ მანეთზე მეტი უნდა დაიხარჯოს. გარდა ამისა, დაახლოებით 8 მილიარდი მანეთი დასჭირდება ქიმიური ინდუსტრიის ნედლეულისა და ენერგეტიკის ბაზის გაფართოებას და პლასტმასების გადასამუშავებელ სპეციალიზებულ წარმოებათა შექმნას. ქიმიური მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის განზრახულია 1,5 მილიარდი მანეთის დაბანდება. საწყობების აგებაზე, პოლიეთილენის ტარის წარმოებაზე, აგრეთვე სასუქების გამოსაყენებელი მანქანების დამზადებაზე საჭირო იქნება დაახლოებით სამი მილიარდი მანეთის დახარჯვა. უნდა გავითვალისწინოთ სახსრები 4,5 მილიარდი მანეთის ოდენობით სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის.

**ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის კომპლექსურ ქიმიზაციაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხა იქნება 42 მილიარდ მანეთზე მეტი, აქედან მარტო სოფლის მეურნეობის ქიმიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები დაახლოებით 10,5 მილიარდი მანეთით განისაზღვრება.**

ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი წლების მანძილზე პირველად მიიღეს შესაძლებლობა ესოდენ დიდი კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოთ წარმოების იმ დარგებისათვის, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან. ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარება ისე წარიმართა, რომ მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი, რომლებმაც ხელში აიღეს ძალაუფლება, იძულებული იყვნენ მთელი ძალები და საშუალებანი მძიმე ინდუსტრიის შექმნისათვის მოეხმარებინათ. იმპერიალიზმთან ბრძოლაში რომ გაგვემარჯვა, წარმატებით რომ გვეშენებინა სოციალიზმი, უნდა გვქონოდა ლითონი, ქვანახშირი, ნავთობი, ყოველგვარი მანქანები. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვით, მძიმე მრეწველობის შექმნისათვის იძულებული ვიყავით ეკონომია გაგვეწია ყველაფერში, სკოლებზეც კი.

ჩვენმა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა პირველხარისხოვანი მძიმე მრეწველობა. ახლა სახელმწიფოს შეუძლია უხვი სახსრები გამოჰყოს ქიმიის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის, რათა მეტი ვაწარმოოთ სურსათი და ფართო მოხმარების საგნები ხალხის საჭიროებათა უშუალო დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტა მტკიცე საფუძველზე დგება.

ამხანაგებო! ქიმიის განვითარებისათვის გათვალისწინებულია დიდი კაპიტალური დაბანდებანი. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი დიდი დაბანდებანი, განსაკუთრებით დაწყებითს სტადიაში, მოგვთხოვს მთელი ჩვენი ძალების დაძაბვას, მატერიალური რესურსებისა და სახსრების ეკონომიას. მაგრამ ასეთი ხარჯები უნდა გავწიოთ, ვინაიდან ქიმია შესაძლებლობას გვაძლევს უსწრაფესად ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დავაჩქაროთ მსუბუქი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის განვითარება.

ქიმიური მრეწველობის განვითარების დასახული მასშტაბები უპრეცედენტოა მსოფლიო პრაქტიკაში. მაგრამ ჩვენ, კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები — საქმის ადამიანები, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თუ დავძაბავთ მთელ ძალებს, ნებისყოფას, ენერგიას იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც დღეს განვიხილავთ პლენუმზე, მაშინ ეს ამოცანები ისევე წარმატებით გადაწყდება, როგორც სხვა არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები გადაუწყვეტიათ პარტიასა და ხალხს.

## I.

## ქიმიური მრეწველობის განვითარების ძირითადი ამოცანები უახლოესი შვიდი წლისათვის

ამხანაგებო! ქიმიური მრეწველობა ახლა პირველ პლანზე დგება სახალხო მეურნეობაში იმიტომ, რომ ქიმიური პროდუქტებისა და სინთეზური მასალების გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს განვახორციელოთ მატერიალური წარმოების წამყვან სფეროებში ძირეული თვისებრივი გარდაქმნები. ეს გარდაქმნები საშუალებას მოგვცემს სწრაფად გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, ამასთან დავზოგოთ კაპიტალური დანახარჯები და შევამციროთ წარმოების ხარჯები.

ჩვენს დროში განსაკუთრებული ძალით ჟღერს დიდი რუსი მეცნიერის დ. ი. მენდელეევის სიტყვები, რომელმაც უდიდესი მომავალი უწინასწარმეტყველა ქიმიას. იგი წერდა: „მეცნიერული ნიადაგის თანდათანობით გაფართოებით, რომელიც რუსმა ქიმიკოსებმა უკვე მოიპოვეს, ასპარეზზე გამოსული თაობა სამშობლოს წარმატებებს ხელს შეუწყობს უფრო მეტად და უფრო საიმედოდ, ვიდრე ბევრი სხვა, კლასიკურ ძველ დროში შემოწმებული ხერხებით, ხოლო მომავალი მონაპოვრებით მოიგებს საკუთარი და ზოგადსაკაცობრიო, წააგებს კი მხოლოდ ბნელეთი და ცრუმორწმუნეობა. მეცნიერული ნათესი აღმოცენდება ხალხის სამკალზე".

ქიმია აფართოებს ნედლეულის ბაზას, ახალ მასალებს იძლევა გადასამუშავებელი მრეწველობისათვის, უაღრესად ეფექტიან საშუალებებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარ-

## II.

## ქიმია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მძლავრი საშუალებაა

ამხანაგებო! გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქიმიის დანერგვა მექანიზაციასთან ერთად ნიშნავს რევოლუციას სოფლის მეურნეობაში, იგი გზას უხსნის შრომის ყველაზე დიდი ნაყოფიერების მიღწევას. სასუქების ფართოდ გამოყენება და ირიგაციის განვითარება საშუალებას იძლევა უზრუნველვყოთ ბევრ რაიონში მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღება.

ნება მიბოძეთ ქიმიის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით განვიხილო სოფლის მეურნეობის კონკრეტული ამოცანები და შესაძლებლობანი. სკკპ პროგრამაში დასახულია ამოცანა უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ისეთი რაოდენობით წარმოება, რომელიც საჭიროა ხალხისა და სახელმწიფოს მზარდ მოთხოვნილებათა მთლიანად დაკმაყოფილებისათვის.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გაანგარიშებით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა 1964 წლის 1 იანვრისათვის 226 მილიონზე მეტი იქნება, 1970 წლის ბოლოსათვის — დაახლოებით 250 მილიონი, ხოლო 1980 წლის ბოლოსათვის საბჭოთა ხალხების ოჯახში დაახლოებით 280 მილიონი კაცი იქნება.

რა თქმა უნდა, უკვე ახლა ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყანა პროდუქტებითა და მოხმარების საგნებით, შესაძლებლობა მივცეთ ჩვენს ხალხს ისარგებლოს კომუნისტური საზოგადოების სიკეთით.

რამდენი და რა პროდუქტები დასჭირდება საბჭოთა სახელმწიფოს? მინდა მოგაგონოთ ზოგიერთი გაანგარიშება, დავაზუსტო ცალკეული ციფრები იმ ახალ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რომლებსაც ქიმია უსახავს სოფლის მეურნეობას.

როცა განვსაზღვრავთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, რა თქმა უნდა, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქტების მოხმარების წლევანდელ დონეს როდი ვითვალისწინებთ. გაანგარიშებას საფუძვლად უდევს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მიერ რეკომენდებული ნორმები. ეს ნორმები ითვალისწინებენ ხორცის, რძის, კვერცხის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა უაღრესად ძვირფასი პროდუქტების მოხმარების მნიშვნელოვან გადიდებას, რის გამო, ბუნებრივია, შემცირდება პურის მოხმარება.

სახელმწიფოს ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

გათვალისწინებით, საჭირო იქნება შემდეგი რაოდენობით ვაწარმოოთ სასურსათო პროდუქტები:

| | 1970 წელი | 1980 წელი |
|---|---|---|
| მარცვლეული (მილიარდი ფუთი) | 14—16 | 18—19 |
| ხორცი დაკლული წონით (მილიონი ტონა) | 20—25 | 30—32 |
| რძე (მილიონი ტონა | 115—135 | 170—180 |
| შაქარი (მილიონი ტონა) | 10 | 12 |

ასეთი დონის მიღწევა პარტიისა და ხალხის მთავარი ამოცანაა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ეს იქნება ჩვენი პარტიის პროგრამის კონკრეტული განხორციელება.

**სოფლის მეურნეობის ყველა, ან თითქმის ყველა პროდუქტის წარმოება პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია მარცვლეულის მეურნეობის განვითარებასთან. თუ იქნება მარცვალი — იქნება ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.**

მარცვლეულის ბალანსის შედგენის დროს ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მოთხოვნილებანი არა მარტო სასურსათო მარცვლეულზე. საჭიროა გავითვალისწინოთ მეცხოველეობის სრული უზრუნველყოფაც კონცენტრირებული საკვებით. ამ მხრივ ახლო წარსულში იყო სერიოზული შეცდომები. პურის დამზადება პირველ მცნებად ითვლებოდა, თესლისა — მეორედ, ხოლო საკვებზე მეცხოველეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არც კი ახსენებდნენ. ასეთ მცნებებად დაყოფა არსებითად მანკიერია. განა შეიძლება თესლი მეორე მცნებად მივიჩნიოთ? გლეხისათვის თესლი ყოველთვის წმიდათა-წმიდა იყო. მას შეეძლო ეშიმშილა, თესლს კი ხელს არ ახლებდა. და განა პირუტყვის უზრუნველყოფა კონცენტრირებული საკვებით შეიძლება მივაკუთვნოთ რაღაც მესამე ან მეხუთე მცნებას? ყველა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს, რომ თუ საჭირო რაოდენობით არ ვაწარმოეთ კონცენტრირებული საკვები, ისე ყველა ჩვენი გაანგარიშება მეცხოველეობის დარგში კეთილ სურვილად დარჩება.

კონცენტრირებული საკვები მეცხოველეობისათვის არსებითად მარცვლეულის ბალანსის მთავარი საგასავლო მუხლია. რამდენი მარცვალია საჭირო იმისათვის, რომ 1970 წელს ვაწარმოოთ 20-25 მილიონი ტონა ხორცი? მოვიყვან სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაანგარიშებას. ვიღებ მაქსიმალურ დონეს:

ხორცი სულ 25 მილიონი ტონა

აქედან:

ძროხის ხორცი 9,2 მილიონი ტონა

ღორის ხორცი 9,1 მილიონი ტონა

ცხვრის ხორცი 2,8 მილიონი ტონა

ფრინველის ხორცი 3,3 მილიონი ტონა

სხვა სახეობათა ხორცი 0,6 მილიონი ტონა.

დასახულია ვაწარმოოთ რძე 115-135 მილიონი ტონა, კვერცხი — 68 მილიარდი ცალი.

ადგილობრივი პირობებისა და შეძენილი გამოცდილების შესაბამისად პირუტყვის გასუქება იწარმოებს როგორც ხმელი, მარცვლეული, ისე სილოსისა და სხვა წვნიანი საკვების გამოყენებით. მარცვლის ხვედრითი წონა პროცენტობით საერთო საკვებთან შედარებით და მარცვლის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე იქნება:

| | მარცვლის ხვედრითი წონა რაციონში პროცენტობით | მარცვლის ხარჯვა პროდუქციის ერთეულზე კილოგრამებით |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი | 30 | 2,5 |
| ღორის ხორცი | 60 | 3 |
| ცხვრის ხორცი | 20 | 1,52 |
| ფრინველის ხორცი | 80 | 2,25 |
| რძე | 20 | 0,18 |

პროდუქციის ერთეულზე მარცვლის ასეთი დანახარჯის დროს მარცვლის საერთო მოთხოვნილება საკვებ მარცვლეულებში ხორცისა და კვერცხის წარმოებისათვის 1970 წლის გეგმის გაანგარიშებით იქნება:

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცის წარმოებისათვის | | 24 მილიონ 500 ათასი ტონა |
| ღორის ხორცის | „ | 27 მილიონ 300 ათასი ტონა |
| ცხვრის ხორცის | „ | 4 მილიონ 200 ათასი ტონა |
| ფრინველის ხორცის | „ | 7 მილიონ 420 ათასი ტონა |
| რძის | „ | 24 მილიონ 300 ათასი ტონა |
| კვერცხის | „ | 13 მილიონ 600 ათასი ტონა |

გარდა ამისა, ძირითადი საწარმოო ნახირის მოვლა-შენახვისათვის უნდა გამოიყოს 23 მილიონ 400 ათასი ტონა კონცენტრატები.

ამრიგად, ხორცის, რძისა და კვერცხის, აღნიშნული მოცულობით წარმოებისათვის სულ საჭირო იქნება დაახლოებით 115 მილიონი ტონა, ანუ 7 მილიარდ 500 მილიონი ფუთი მარცვალი.

ზოგიერთი მუშაკი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაანგარიშებებში რამდენადმე შემცირებულია მარცვლის ხარჯვა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე. ასეც რომ იყოს სულ ერთია მარცვლის წარმოების დასახული დონე უზრუნველყოფს მეცხოველეობის მოთხოვნილებებს. აქვე შევნიშნავ, რომ ქიმიკოს მეცნიერთა ჯგუფს წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, მიაჩნია, რომ 70-80 მილიონი ტონა სასუქის გამოყენებით შეიძლება მივიღოთ არა 14 მილიარდი ფუთი მარცვალი, არამედ გაცილებით მეტი, ისინი ციფრსაც კი ასახელებენ 18 მილიარდ ფუთს.

სასურსათო მომარაგებისათვის, აგრეთვე პირუტყვის საკვებად მარცვლის ხარჯვასთან ერთად გარკვეული რაოდენობით გვესაჭიროება პური სახელმწიფოს სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად: მარცვლის სამრეწველო გადამუშავება, რეზერვის შევსება, ექსპორტი და სხვ.

მარცვლის წარმოების გადიდების საკითხები მწვავედ დააყენა პარტიამ ჯერ კიდევ 1953 წელს. მაგრამ იმ პერიოდში ჩვენ არ შეგვეძლო სრულად დაგვეკმაყოფილებინა ყველა მოთხოვნილება მარცვალზე. საქმე ის არის, რომ ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო რაოდენობით მიგვეცა მინერალური სასუქები, ურომლისოდაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ შეეძლოთ აემაღლებინათ მოსავლიანობა იმ დონემდე, რომელიც უზრუნველყოფდა მარცვლის მიღებას საჭირო რაოდენობით.

პირველ ხანებში პარტია სახავდა ამოცანას — გაგვედიდებინა მარცვლეულის ნათესი ფართობები, ამ გზით არსებითად გაგვედიდებინა მარცვლის წარმოება, უზრუნველგვეყო მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება და შეგვექმნა უკეთესი შესაძლებლობანი მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ჩვენ დავადექით ნათესი ფართობების გადიდების გზას და ერთი-ორი წლის შემდეგ, რაც დაიწყო ყამირის ათვისება, შევძელით სერიოზულად შეგვეცვალა ჩვენი ქვეყნის პურით უზრუნველყოფის მდგომარეობა, გაგვეუმჯობესებინა სურსათით მომარაგება, რამაც საბოლოო ანგარიშით განსაკუთრებული როლი შეასრულა მთელი საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში.

მარცვლის წარმოება ჩვენს ქვეყანაში 1953 წლის 5 მილიარდი ფუთიდან 9 მილიარდ ფუთამდე გადიდდა 1962 წელს, ხოლო დამზადება შესაბამისად გაიზარდა 1 მილიარდ 899 მილიონი ფუთიდან 3 მილიარდ 458 მილიონ ფუთამდე.

უკანასკნელ წლებში, გარდა მეტად გვალვიანი 1963 წლისა, ჩვენში მარცვლის ყოველწლიური საერთო მოსავალი სამი მილიარდი ფუთით და უფრო მეტი იყო, ვიდრე ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის წინა პერიოდში.

ამ შედეგების მიღწევაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ. ყამირი მიწების მოხვნისათვის პარტიისა და ხალხის მუშაობის ისტორიული მნიშვნელობა აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე. მაგრამ დღეს ეს ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის მტრები უკანასკნელ ხანს ავრცელებდნენ ყოველგვარ მონაჭორს ყამირის შესახებ, ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ახალი მიწების ათვისების პოლიტიკას არ მოეტანოს მოსალოდნელი შედეგები. ბურჟუაზიული პრესა ცდილობს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს ახლანდელი შემობრუნება ქიმიის საკითხებისაკენ დაკავშირებული იყოს წარუმატებლობასთან ყამირ მიწებზე.

რა შეიძლება ითქვას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ასეთ „მცოდნეთა" შესახებ? ყვავ-ყორანი იჩხავლებს, იჩხავლებს, და გაქრება, ხოლო საბჭოთა ხალხის დიადი საგმირო საქმენი ყამირზე საუკუნეებში იცოცხლებს.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკამ ყამირი მიწების ათვისებაში კარგი შედეგები მოიტანა, ხალხს მისცა დიდი მატერიალური სიკეთე. უკვე აღინიშნა, თუ რა სარგებლობა მოუტანა საბჭოთა ხალხს ყამირის ათვისებამ. ნება მიბოძეთ მოვიყვანო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რა ხარჯები გასწია სახელმწიფომ ყამირი მიწების ათვისებისათვის და რა ეკონომიური სარგებლობა მიიღო ჩვენმა ქვეყანამ.

**„ცნობა 1954-1962 წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.**

1954-1962 წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ზონაში ჩვენმა ქვეყანამ 1949-1953 წლების დამზადების საშუალო წლიურ დონესთან შედარებით დამატებით მიიღო 8 მილიარდ 200 მილიონი ფუთი სასაქონლო პური, აქედან რუსეთის სფსრ რაიონებში — 4,4 მილიარდი ფუთი და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 3,8 მილიარდი ფუთი.

1954-1962 წლებში სახელმწიფომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ზონას, ამ რაიონებში ჩვეულებრივ კაპიტალურ დაბანდებათა გარდა დამატებით მოახმარა 6,7 მილიარდი მანეთი.

ამავე პერიოდში ყამირი და ნასვენი მიწების რაიონებში მარტო პურის სასაქონლო პროდუქციის მატების შედეგად სახელმწიფომ დამატებით მიიღო ბრუნვის გადასახადი და საბჭოთა მეურნეობების მოგება სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარებისაგან დაახლოებით 10 მილიარდი მანეთი (9,7 მილიარდი მანეთი).

ამრიგად, მარტო სასაქონლო მარცვლის ხარჯზე სახელმწიფომ არა მარტო დაფარა მთელი დაბანდებანი ყამირის რაიონების სოფლის მეურნეობაში, არამედ გარდა ამისა მიიღო სუფთა შემოსავალი ამ პერიოდში დაახლოებით 3 მილიარდი მანეთი.

გარდა ამ 3 მილიარდი მანეთისა, სახელმწიფომ ყამირ მიწებზე გაწეულ კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად გაადიდა საბჭოთა მეურნეობებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების საწარმოო ფონდები დაახლოებით 4,7 მილიარდი მანეთით". აი რა მოგვცა ჩვენ, ამხანაგებო, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ.

მაგრამ ამ წლებში მარტო მარცვლის წარმოება როდი იზრდებოდა. გადიდდა მოთხოვნილება კვების პროდუქტებზეც. განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება მარცვალზე. **ახლა ჩვენს წინაშე ისახება ყველაზე გადაუდებელი ამოცანა — უახლოეს წლებში გავადიდოთ მარცვლის წარმოება ხუთი-შვიდი მილიარდი ფუთით, ესე იგი ავიყვანოთ საერთო წარმოება 14-16 მილიარდ ფუთამდე წელიწადში.**

შეიძლება თუ არა, რომ მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში კვლავაც ნათესი ფართობების გადიდების გზით ვიაროთ? როგორც ჩანს, შემდგომში ჩვენ არ შეიძლება ასეთი გზით ვიაროთ. ჩვენ უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს ნათესი ფართობების გადიდებისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მიწები გამოსადეგი იყოს, ძალიან დიდი სახსრები უნდა დაიხარჯოს მათ ამოსაშრობად, მიწების გასაწმენდად ქვებისაგან, ბუჩქნარებისაგან და სხვ. ახლა, როცა საუკეთესო მიწები უკვე ათვისებულია, რას სჯობს მოვახმაროთ სახსრები: ქიმიური მრეწველობის განვითარებას თუ ნათესი ფართობების გადიდებას? რა თქმა უნდა, უფრო ხელსაყრელია ეს სახსრები მოხმარდეს ქიმიის განვითარებას, მინერალური სასუქების წარმოებას. საბჭოთა ქვეყანას ახლა რეალური შესაძლებლობანი აქვს, რათა მიწათმოქმედებაში დაადგეს იმ გზას, რომ მოახდინოს მარცვლის წარმოების ინტენსიფიკაცია, გაადიდოს მარცვლის წარმოება ჰექტარ სახნავზე მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდის გზით.

**იმისათვის, რომ მარცვლეული კულტურების მყარი, გარანტირებული მოსავალი მოვიყვანოთ და მივიღოთ იმდენი პური, რამდენიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის, საჭიროა დაჩქარებული ტემპებით განვავითაროთ ქიმია, გავადიდოთ მინერალური სასუქების წარმოება.**

ახლა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოო სამმართველოს, ოლქის, რესპუბლიკის წარმატებანი უნდა განისაზღვროს იმით, თუ რამდენად გაიზარდა წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის და, უწინარეს ყოვლისა, მარცვლის, ხოლო შესაბამის რაიონებში — ჭარხლის, ბამბის, კარტოფილისა და სხვ. საერთო მოსავალი მოსავლიანობის გადიდების გზით, რამდენია წარმოებული მარცვალი, ჭარხალი, ხამი ბამბა თვითეულ ჰექტარ ნათესსა და სახნავზე გაანგარიშებით.

ჩვენი სოფლის მეურნეობის კადრები მიეჩვივნენ იმას, რომ მრავალი წლის მანძილზე მათი ხელმძღვანელობის ხარისხს აფასებდნენ უმთავრესად იმით, თუ როგორ სრულდებოდა სახელმწიფოსათვის მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებანი. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ინტერესების დაცვა ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. ჩვენს ქვეყანას საჭირო რაოდენობით უნდა ჰქონდეს პური და კვების სხვა პროდუქტები, შეუფერხებლივ ამარაგებდეს მოსახლეობას.

მაგრამ არ შეიძლება ვაფასებდეთ ამა თუ იმ მეურნეობის მუშაობას მხოლოდ სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის გეგმების შესრულებით. ჯერ კიდევ 1953 წელს, ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ გადამწყვეტი მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში უნდა გახდეს პროდუქციის წარმოება 100 ჰექტარ მიწაზე. ახლა, როცა იქმნება მატერიალური ბაზა, რათა ინტენსიურად გავუძღვეთ მეურნეობას მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენების საფუძველზე, პროდუქციის წარმოება თვითეულ ჰექტარ მიწაზე ხდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის მთავარი საზომი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან საბჭოთა მეურნეობის დირექტორის საქმიანობა უნდა შევაფასოთ იმის მიხედვითაც, რამდენი პროდუქტები მიჰყიდა მეურნეობამ სახელმწიფოს, და უმთავრესად იმის მიხედვით, რამდენი პროდუქტები აწარმოვა მან, რა თვითღირებულების, მაშასადამე, რა დამატებითი შესაძლებლობანი შექმნა წარმოების განვითარებისათვის.

ჩვენში ხშირად ასე არის ხოლმე: თუ ერთმა და მეორე მეურნეობამ სახელმწიფოს ერთ ჰექტარ სახნავზე გაანგარიშებით თანაბარი რაოდენობით ჩააბარა პროდუქტები, მათ შეფასებაც თანაბარი ეძლევათ. მაგრამ როცა უფრო ღრმად ჩახედავ საქმეს, აღმოჩნდება, რომ ერთი ხელმძღვანელი მეურნეობას გაცილებით უფრო ეფექტიანად უძღვება, ვიდრე მეორე. ერთი ხელმძღვანელი ჰექტარ სახნავზე აწარმოებს 20 ცენტნერ მარცვალს, მეორე კი მხოლოდ 15 ცენტნერს. როგორ არ უნდა გავითვალისწინოთ ეს, როცა ვლაპარაკობთ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ხარისხზე?

მთავარი კრიტერიუმი პროდუქციის წარმოებაა. იმ პროდუქტების მოცულობა, რომლებიც სახელმწიფოს მიჰყიდა ან ჩააბარა ამა თუ იმ მეურნეობამ, მიღებული პროდუქციის საერთო რაოდენობის წარმოებულია. თუ მეურნეობანი ერთნაირ გეოგრაფიულ, ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში არიან, აქვთ თანაბარი მატერიალური შესაძლებლობანი, მათ უნდა ჰქონდეთ წარმოების ერთნაირი მაღალი დონეც, მაქსიმალურად უნდა იყენებდნენ თავიანთ რესურსებს. მაგრამ ხშირად ასე როდია ხოლმე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ერთნაირი შესაძლებლობების პირობებში ხშირად წარმოების სხვადასხვა დონე აქვთ. ამიტომ სხვადასხვანაირად უნდა შევაფასოთ ხელმძღვანელთა მუშაობაც, არ უნდა განვსაზღვროთ ყველაფერი მარტო დამზადების გეგმის შესრულებით. ის არის საუკეთესო, მოწინავე ხელმძღვანელი, ვინც წარმატებით ასრულებს დამზადების გეგმებს, შრომისა და მატერიალური სახსრების მინიმალური დანახარჯებით იღებს სოფლის მეურნეობის მეტ პროდუქტებს.

ასევე უნდა განვსაჯოთ საწარმოო სამმართველოთა მუშაობაც. ვთქვათ, საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოჰყავდათ 50 მილიონი ფუთი მარცვალი, ხოლო შემდეგ წარმოება გაადიდეს 75 მილიონ ფუთამდე. ეს, რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით ცუდი როდია. მაგრამ იმავე მეურნეობებს, თუ უკეთ გამოიყენებდნენ მიწას, შეეძლოთ ეწარმოებინათ არა 75, არამედ 100 მილიონი ფუთი მარცვალი. როგორც ვხედავთ, თუმცა მარცვლის წარმოება სამმართველოში 50 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ გამოუყენებიათ ყველა შესაძლებლობა.

ყველა ხელმძღვანელი — საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ინჟინრები, საწარმოო სამმართველოებისა და პარტიული კომიტეტების მუშაკები ვალდებული არიან ღრმად შეისწავლონ თვითეული მეურნეობის რეზერვები, მიაღწიონ იმას, რომ გამოვართვათ მიწას ყველაფერი, რაც შესაძლებელია მეცნიერების თანამედროვე დონის პირობებში, თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა პირობებში.

**ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის განვითარების ძირეული საკითხია.** რას ნიშნავს, ნაცვლად 10 ცენტნერი მარცვლისა ჰექტარზე მოვიყვანოთ 20-30 ცენტნერი მარცვალი? ეს ნიშნავს ერთიორად-ერთისამად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, რაც ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ჩვენთვის როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგშიც.

მე მინდა ამ პოზიციებიდან განვიხილო სოფლის მეურნეობის კონკრეტული ამოცანები, ჩვენი განვითარების პერსპექტივები.

როგორც უკვე ითქვა, საჭირო იქნება უახლოეს წლებში მარცვლის წარმოება გავზარდოთ 14-16 მილიარდ ფუთამდე. თუ გავითვალისწინებთ 10 ცენტნერ მოსავლიანობას ჰექტარზე, ასეთი რაოდენობით მარცვლის წარმოებისათვის მარცვლეული კულტურები უნდა დავთესოთ 233 მილიონ ჰექტარზე, ამჟამად კი მარცვლეულ კულტურებს ვთესავთ 136 მილიონ ჰექტარზე. როგორც ხედავთ, დამატებით დაგვჭირდებოდა გამოგვენახა კიდევ 97 მილიონი ჰექტარი მიწა. თუ კიდევაც ვიფიქრებთ, რომ გამოვნახავთ ასეთი რაოდენობით მიწას, მაშინაც კი ისმება კითხვა: რა უფრო ხელსაყრელია, გავადიდოთ სათესი ფართობები, თუ გავზარდოთ მარცვლის წარმოება ჰექტარ მიწაზე.

აქ, როგორც იტყვიან, სიტყვა ფანქარს უნდა მიეცეს. მოსავლიანობის სხვადასხვა დონის პირობებში რა ფართობზე უნდა დავთესოთ მარცვლეული კულტურები, რომ მივიღოთ, ვთქვათ, 14 მილიარდი ფუთი მარცვალი?

— როცა მოსავალი 10 ცენტნერია ჰექტარზე — უნდა დავთესოთ 233 მილიონი ჰექტარი;

— როცა მოსავალი 20 ცენტნერია — უნდა დაითესოს 117 მილიონი ჰექტარი;

— როცა მოსავალი 25 ცენტნერია ჰექტარზე — უნდა დაითესოს 93 მილიონი ჰექტარი;

— როცა მოსავალი 30 ცენტნერია —

მარცვლეული კულტურებით უნდა დაითესოს 77 მილიონი ჰექტარი. რას ნიშნავს ეს ეკონომიკისათვის, თუ ავიღებთ მხოლოდ ერთ მხარეს — ხარჯებს ჰექტარი მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანისათვის?

ეკონომისტების მონაცემებით, 14 მილიარდი ფუთი მარცვლის მისაღებად დაგვჭირდება შემდეგი ფართობი და ხარჯები:

**როცა მოსავალი 10 ცენტნერია ჰექტარზე.**

| | |
|---|---|
| მთელი ფართობი | — 233 მილიონი ჰექტარი |
| ხარჯები ერთ ჰექტარზე (1962 წლის ფაქტიური ანგარიში) | — 51 მანეთი და 50 კაპ. |
| ხარჯები 233 მილიონ ჰექტარზე | — 12 მილიარდი მანეთი. |

**როცა მოსავლიანობა 30 ცენტნერია ჰექტარზე**

| | |
|---|---|
| მთელი ფართობი | — 77 მილიონი ჰექტარი |
| ხარჯები ერთ ჰექტარზე 5 ცენტნერი მინერალური სასუქების ღირებულებისა და დამატებითი მოსავლის აღების ხარჯების გათვალისწინებით | — 70 მანეთი და 60 კაპ. |
| ხარჯები 77 მილიონ ჰექტარზე იქნება | — 5,4 მილიარდი მანეთი. |

მაშასადამე, ხარჯები მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანისათვის, როცა მოსავალი 30 ცენტნერია ჰექტარზე, იძლევა 6,6 მილიარდ მანეთ ეკონომიას.

სოფლის მეურნეობაში ქიმიის ფართოდ დანერგვა უაღრესად დიდ მოთხოვნებს უყენებს წარმოების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, ყველას, ვისაც საქმე აქვს სასუქების გამოყენებასთან. ამიტომ საჭიროა შევისწავლოთ მოწინავე მეურნეობათა, სამეცნიერო დაწესებულებათა გამოცდილება და მივაღწიოთ იმას, რომ სასუქების გამოყენება გვაძლევდეს მაქსიმალურ ეკონომიურ ეფექტს.

რა წვლილი უნდა შეიტანოს თვითეულმა რესპუბლიკამ მარცვლის წარმოების დასახულ მოცულობაში? არ დავასახელებ კონკრეტულ ციფრებს. ვფიქრობ, ამას რესპუბლიკების ხელმძღვანელები იზამენ. მაგრამ მინდა შევეხო რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის შესაძლებლობებს. რა გზით უნდა ვიაროთ, რა ორიენტირი უნდა ავიღოთ მარცვლის წარმოების დონის განსაზღვრისას? ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს მექანიკურად მიუმატოს წლევანდელ მოსავლიანობას 3-4 ცენტნერი და რამდენადმე გაზარდოს მარცვლის საერთო მოსავალი.

ასეთ მიდგომას ვერ დავეთანხმებით. ჩვენ ვავითარებთ ქიმიურ მრეწველობას. მინერალური სასუქებით მომარაგების მხრივ სახელმწიფო გარკვეული ზონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თანაბარ პირობებს შეუქმნის. პრაქტიკულად სასუქების შეტანის ნორმებით საშუალო და ჩამორჩენილი მეურნეობანი მიაღწევენ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დონეს, ამაღლდება აგრეთვე მათი მიწათმოქმედების კულტურა და მექანიზაციის დონე. თუ გაანგარიშებას საფუძვლად დავუდებთ ზონის იმ საუკეთესო მეურნეობათა მაჩვენებლებს, რომლებიც უნარიანად იყენებენ მინერალურ სასუქებს, მაშინ სულ სხვა შესაძლებლობანი იქმნება რესპუბლიკებში.

ავიღოთ რუსეთის ფედერაცია. ჩრდილოეთ კავკასიის ზონაში მარცვლეული კულტურები ითესება 9,4 მილიონ ჰექტარზე. საშუალოდ ექვს წელიწადში (1958-1963 წლები) მოსავალმა შეადგინა 17 ცენტნერი ჰექტარზე. 1962 წელს ამ ზონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 500 მილიონ ფუთზე მეტი მარცვალი. ახლა ამ ზონის უფრო დატენიანებულ რაიონებს სახელმწიფო მარცვლეული კულტურებისათვის მისცემს სასუქების სრულ რაოდენობას. მაშ რამდენი მოსავალი უნდა დაგეგმონ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა და რამდენი პური უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს? დაე ეს თქვენ პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნებმა, საწარმოო სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა. მე ვიწვევ ამხანაგებს, რომ მათ პლენუმზე დაასახელონ თავიანთი ვარაუდები, რათა მერე არ თქვან: ეს ჩვენ კი არა, არამედ ხრუშჩოვმა თქვაო. მთავარია, რომ ამხანაგებმა არა მარტო თქვან, არამედ კარგად იფიქრონ, სანამ იტყოდნენ.

მათი მდგომარეობა რომ შევამსუბუქო, დავასახელებ მოწინავე მეურნეობათა მოსავალს, რომლებიც დაახლოებით იმდენსავე სასუქს იყენებენ, რამდენსაც ახლა მიიღებენ ამ ზონის სხვა მეურნეობანი.

ყველასათვის ცნობილია ყუბანის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოსაცდელი ინსტიტუტის ამხ. ვ. ა. სვეტლიჩნის მექანიზებული რგოლის გამოცდილება. ვ. ა. სვეტლიჩნი შრომის მინიმალური დანახარჯებით იღებს სწორედ ისეთ მოსავალს, რომელსაც პერსპექტივით ვუსახავთ ჩრდილოეთ კავკასიას. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მოსავალმა მის რგოლში შეადგინა (ცენტნერობით ჰექტარზე):

| | 1961 წ. | 1962 წ. | 1963 წ. |
|---|---|---|---|
| საშემოდგომო ხორბალი | 39,9 | 48,1 | 50 |
| შაქრის ჭარხალი | 332 | 252 | 300 |
| ბარდა | არ ეთესა | 29,4 | 33,1 |

ცენტნერი ჰექტარზე.

სასუქების სისტემა ამხ. სვეტლიჩნის რგოლში ასეთია: შაქრის ჭარხლის ნათესებში შეაქვს 6 ცენტნერამდე სუპერფოსფატი და 3 ცენტნერი აზოტოვანი და კალიუმის სასუქები. ხორბლის ყანებში წინამორბედებისა და შექმნილი პირობების გათვალისწინებით შეაქვს 6-7 ცენტნერამდე ფოსფატისა და აზოტოვანი სასუქები. თუ ხორბალი ითესება შაქრის ჭარხლის შემდეგ, შაქრის ჭარხლის ნათესებში შეტანილი სასუქების შედეგების გათვალისწინებით, სასუქების დოზა მცირდება.

სხვა ზონებში ხორბლის ყანებში სასუქების შეტანის ნორმები, ალბათ, ნაკლები იქნება, რადგან ყუბანში თესავენ „უფხო-1" ჯიშის ხორბალს, რომელიც ფრიად მოსავლიანია და მოითხოვს სასუქებს.

ამხ. სვეტლიჩნის მონაცემები, მე ვფიქრობ, საკმაოდ სრულად ასახავენ ისეთი ზონის მოთხოვნილებებს, როგორიც ყუბანია, სასუქებზე ხორბლისათვის. მე ვთხოვე ცნობილ სელექციონერს ვ. ს. პუსტოვოიტს, ახლა უკვე პარტიის წევრს, და მე გულითადად მივესალმები მას, ცნობა იმის შესახებ, თუ რა სასუქების გამოყენებისას იძლევა ხორბალი ინსტიტუტის მეურნეობაში ყველაზე უხვ მოსავალს. მან მაცნობა, რომ ინსტიტუტის ცენტრალურ საექსპერიმენტო ბაზაში საშუალოდ ხუთი წლის მანძილზე (1959-1963 წლები) ჰექტარზე მოყვანილია 46 ცენტნერი ხორბალი. ამასთან ნიადაგში შემდეგი რაოდენობით შეაქვთ სასუქები.

| | |
|---|---|
| — ძირითად ნახნავში | 2 ცენტნერი სუპერფოსფატი ჰექტარზე |
| — დამატებითი ორჯერადი კვების სახით (საშემოდგომო და საგაზაფხულო) | 4 ცენტნერი აზოტოვანი სასუქები |

როგორც ხედავთ, სასუქების ციფრი თითქმის იგივეა, რაც სვეტლიჩნის აქვს, — 6 ცენტნერი ჰექტარზე და დაახლოებით ამდენივე ხორბლის მოსავალი — 50 ცენტნერამდე ჰექტარზე.

დაახლოებით ასეთივე მონაცემები მოიყვანა კრასნოდარში გამართულ თათბირზე აკადემიკოსმა პ. პ. ლუკიანენკომაც.

მოსავლიანობის ზრდის გაანგარიშების დროს სასუქების შეტანასთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ფართოდ გამოვიყენოთ ბიოლოგიური მეცნიერების, სელექციის მიღწევები, უკვე ახლა წინანდელი ჯიშების ხორბალი შეიცვალა ისეთი მძლავრი ჯიშებით, როგორიც არის „უფხო-1", „მირონოვკა-808" და სხვები.

კარგი ჯიშის ხორბალი გაქვთ თქვენ, ამხანაგო ყუბანელებო, სასუქებს მიიღებთ, მაგრამ მინდა წამოვაყენო შემხვედრი მოთხოვნა. კრასნოდარში ყოფნისას მოვეთათბირე პრაქტიკოსებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობანი აქვს კრასნოდარის მხარეს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვაში.

1963 წელს თქვენ სახელმწიფოს ჩააბარეთ 202 მილიონი ფუთი მარცვალი, როცა მოსავლიანობა 26 ცენტნერი იყო ჰექტარზე. სასუქების გადიდების გზით თქვენ შეგიძლიათ მოიყვანოთ 45-50 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე, ესე იგი ისეთი მოსავალი, რომელსაც ახლა მოწინავე მეურნეობანი იღებენ. მატება ჰექტარზე შეადგენს 19-24 ცენტნერს. თქვენში მარცვლეული კულტურები დათესილია 2 მილიონ 200 ათას ჰექტარზე, მაშასადამე, საერთო მატება იქნება დაახლოებით 250-300 მილიონი ფუთი. პრაქტიკულად მოსავლის მეტი ნაწილი სასაქონლო მარცვალია და იგი შეიძლება მივუმატოთ იმას, რაც ჩააბარეს მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაადიდებენ მარცვლეულის, განსაკუთრებით ბრინჯის ნათეს ფართობებს. ყუბანში განვითარდება სარწყავი მიწათმოქმედება, დაიწყება სიმინდის მოყვანა სარწყავ მიწებზე. ეს კი მარცვლის წარმოების დიდი რეზერვია. მე ვნახე სარწყავი სიმინდი საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცში". საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ჰექტარზე მიიღო 70 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ხორბლისა და სიმინდის ასეთი მოსავლის დროს, ასეთი შესაძლებლობების დროს ყუბანს შეუძლია უახლოეს წლებში სახელმწიფოს მიჰყიდოს 400-450 მილიონამდე ფუთი მარცვალი და სავსებით დააკმაყოფილოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა სხვა მოთხოვნილება მარცვალზე.

ისეთი მოსავლის მოყვანა, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, შეუძლია სტავროპოლის მხარის ბევრ რაიონს, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-მალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ სხვა რაიონს.

ავიღოთ რუსეთის ფედერაციის სხვა ზონა — **ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქები.** აქ მარცვლეულს უჭირავს 7 მილიონ 113 ათასი ჰექტარი. მოსავალს იღებენ დაახლოებით 14 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო შარშან სახელმწიფოს მიჰყიდეს 212 მილიონი ფუთი პური.

როგორი მოსავლის მიღება შეიძლება ამ ზონაში და რა რაოდენობით უნდა გაყიდონ პური კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა? დაე ამის შესახებ ისევ ოლქის ხელმძღვანელებმა თქვან.

რომელ მეურნეობათა გამოცდილებას შეიძლება დავეყრდნოთ ცენტრალურ შავმიწანიადაგიან ზონაში? მოვიყვან ზოგიერთ მაგალითს. ლიპეცკის ოლქშია საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკი", რომლის დირექტორად ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა სოფლის მეურნეობის ახლანდელი მინისტრი ამხ. ვოლოვჩენკო, ახლა კი იქ მუშაობს ამხ. ი. პ. ქსენზი.

შაქრის ჭარხლის ნათესში საბჭოთა მეურნეობას შეაქვს 9,5 ცენტნერი სასუქები, ხოლო მარცვლეული კულტურების ნათესებში — 3-4 ცენტნერი.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

სასუქების ასეთი ნორმის დროს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა საბჭოთა მეურნეობაში იყო:

(ცენტნერობით ჰექტარზე)

| | საშემოდგომო ხორბალი | შაქრის ჭარხალი | ბარდა |
|---|---|---|---|
| 1959 წელი | 24,7 | 213 | 13 |
| 1960 წელი | 27,5 | 329 | 17 |
| 1961 წელი | 19,5 | 343 | 36 |
| 1962 წელი | 26,2 | 357 | 42,1 |
| 1963 წელი | 29,3 | 267 | 23,5 |
| საშუალოდ ხუთ წელიწადში | 25,4 | 302 | 26,3 |

მოვიყვან კიდევ ერთი მეურნეობის — საბჭოთა მეურნეობა „მარინოს“ მაგალითს. იგი შედის ცენტრალური შავნიადაგიანი ზონის სხვა ნაწილში, მდებარეობს კურსკის ოლქში. აქ მარცვლეული კულტურების ნათესებში შეაქვთ 4,6 ცენტნერი, ხოლო შაქრის ჭარხლის ნათესებში 9 ცენტნერი მინერალური სასუქები. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობას შაქრის ჭარხლისა და ხორბლის ნათესებში შეაქვს ორგანული სასუქები.

ასეთი სასუქების გამოყენებისას მიღებულია შემდეგი მოსავალი:

| | მარცვლეული კულტურები | შაქრის ჭარხალი |
|---|---|---|
| 1959 წელი | 30,9 ცენტნერი | 435 ცენტნერი |
| 1960 წელი | 32,2 „ | 483 „ |
| 1961 წელი | 34,8 „ | 451 „ |
| 1962 წელი | 36,2 „ | 492 „ |
| 1963 წელი | 24,1 ცენტნერი ჰექტარზე | 372 ცენტნერი ჰექტარზე |

საშემოდგომო ხორბლის მოსავალმა ამ წლებში ჰექტარზე 33-36 ცენტნერი შეადგინა.

საბჭოთა მეურნეობების „პეტროვსკის“, „მარინოს“ და სხვა მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ლიპეცკის, ვორონეჟის, კურსკის, ბელგოროდის, ორიოლის, ტამბოვისა და ამ ზონის ზოგიერთი სხვა ოლქის პირობებში სასუქების შესაბამისი სისტემის გამოყენებისას საშუალოდ ჰექტარზე შეიძლება მივიღოთ შაქრის ჭარხლის მოსავალი 250-300 ცენტნერი და მარცვლეულისა 25-30 ცენტნერი. ახლა, როცა ამ ოლქების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საჭირო რაოდენობით მიიღებენ მინერალურ სასუქებს, ასეთი მოსავალი შეიძლება და კიდეც უნდა გახდეს ნორმა მთლიანად ამ ოლქებისათვის.

დასასრულ, მინდა მაგალითი მოვიყვანო რუსეთის ფედერაციის არაშავნიადაგიანი ზონისათვის. მოსკოვის მახლობლად მდებარეობს მეურნეობა „გორკი ლენინსკიე“, სადაც მეცნიერულ კვლევას აწარმოებს აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო. აქ სასუქები ნაკელისა და მიწის კომპოსტების სახით შეაქვთ. ჰექტარზე შეაქვთ 15-დან 20 ტონამდე კომპოსტები, რომელთა შედგენილობაში შედის: 5-6 ტონა ნაკელი, 3-4 ცენტნერი კირი, 2 ცენტნერი ფოსფორიტის ფქვილი და 2 ცენტნერი მინერალური სასუქები. სასუქების ასეთი ნორმების გამოყენებისას მეურნეობაში ჰექტარზე იღებენ მოსავალს:

| | მარცვლეული კულტურები | შაქრის ჭარხალი |
|---|---|---|
| 1959 წელი | 24,02 ცენტნერი | 328 ცენტნერი |
| 1960 წელი | 17,2 „ | 514 „ |
| 1961 წელი | 19,3 „ | 373 „ |
| 1962 წელი | 29,4 „ | 470 „ |
| 1963 წელი | 30,5 „ | 423 „ |

რაც შეეხება შაქრის ჭარხლის მოსავალს, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მიწის დიდი მცოდნის, აკადემიკოს ლისენკოს მამის დენის ნიკონორის-ძის შრომები.

ასეთია რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური შავნიადაგიანი და ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზონების ჩამდვილი შესაძლებლობანი. ერთი სიტყვით, ეს არის ჩვენი ქვეყნის ის ზონები, სადაც სასუქები განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ მოსავლიახობაზე.

დიდ პერსპექტივებს უსახავს ქიმია **უკრაინის სსრ** სოფლის მეურნეობას. უკრაინაში სასუქების გამოყენება ნიადაგის კარგ პირობებთან შეხამებით საშუალებას გვაძლევს გავაორკეცოთ, ხოლო ბევრ რაიონში გავასამკეცოთ მარცვლის წარმოება.

ამჟამად მარცვლეულ კულტურებს უკრაინაში 17 მილიონი ჰექტარი უჭირავს, მოსავლიანობა კი 17-18 ცენტნერია. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ 600-700 მილიონ ფუთ მარცვალს, ხოლო 1961 წელს 786 მილიონი ფუთი ჩააბარეს. ხაზი უნდა გაესვას, რომ აღნიშნული მოსავლიანობა და დამზადების დონე პრაქტიკულად მიღებული იყო სასუქების გამოუყენებლად.

უახლოეს წლებში ჩვენი ქვეყანა სულ უფრო მეტ სასუქებს გამოუყოფს უკრაინას მარცვლეულისათვის. ტყევლიანი და ტყისპირა რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები 5-6 ცენტნერ ფოსფორიან, აზოტიან და კალიუმიან სასუქებს მიიღებენ ჰექტარზე. როგორი მოსავლის მიღების იმედი შეგვიძლია ვიქონიოთ, თუ დავაკმაყოფილებთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებებს სასუქებზე მარცვლეული კულტურებისათვის? როგორც ჩანს, აქ ერთადერთი სწორი საზომი იქნება მოსავლიანობა, რომელსაც მოწინავე მეურნეობებმა მიაღწიეს რესპუბლიკის სხვადასხვა ზონაში. ეს მეურნეობანი დიდი ხანია იყენებენ მინერალურ სასუქებს. მაშასადამე, მათი დღევანდელი შედეგი ხვალ ნორმად უნდა გახდეს ამ ზონის სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

თუ უკრაინის ტყე-ველიან ზონას ავიღებთ, რომელი მეურნეობა უნდა იყოს მისთვის ორიენტირი? მაგალითად, ისეთი, როგორიც არის ვინიცის ოლქის ბერშადის საწარმოო სამმართველოს სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. მ. კავუნს თქვენ იცნობთ. მან დაამთავრა უმანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, აგრონომად მუშაობდა კოლმეურნეობაში, შემდეგ კი თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია.

1958 წლიდან კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლისა და მარცვლეული კულტურების ნათესებში სასუქები შემდეგი სისტემით შეაქვთ.

ერთ ჰექტარ შაქრის ჭარხლის პლანტაციაში შეაქვთ: საშუალოდ 7,6 ცენტნერი მინერალური სასუქები, აქედან: აზოტოვანი — 3,8 ცენტნერი, ფოსფორიანი — 2,1 და კალიუმიანი — 1,7 ცენტნერი.

გარდა ამისა, კოლმეურნეობას ერთ ჰექტარ შაქრის ჭარხლის პლანტაციაში შეაქვს 20 ტონამდე ნაკელი.

სასუქების შეტანის ასეთი სისტემის გამოყენებისას შაქრის ჭარხლის მოსავალმა შეადგინა:

| | |
|---|---|
| 1958 წელს | — 370 ცენტნერი ჰექტარზე |
| 1959 წელს | — 272 „ „ |
| 1960 წელს | — 348 „ „ |
| 1961 წელს | — 343 „ „ |
| 1962 წელს | — 354 „ „ |
| 1963 წელს | — 213 ცენტნერი ჰექტარზე |

ეს, ამხანაგო უკრაინელებო, ის მოსავალია, რომელიც მთელ რესპუბლიკას შეუძლია მიიღოს.

შაქრის ჭარხლის პლანტაციებში შეტანილი სასუქები ნაყოფიერ გავლენას ახდენენ მომდევნო კულტურებზეც. დამატებით 2,5 — 3 ცენტნერი სასუქების შეტანისას კოლმეურნეობამ შაქრის ჭარხლის მომდევნო კულტურების ასეთი მოსავალი მიიღო:

| | |
|---|---|
| სამარცვლე სიმინდი | — ჰექტარზე 71,2 ცენტნერი 1000 ჰექტარ ფართობზე |
| ჰყინტლი და ბაზი სასილოსე სიმინდი | — ჰექტარზე 540 ცენტნერი 75 ჰექტარ ფართობზე |
| წიწიბურა | — ჰექტარზე 27,9 ცენტნერი 60 ჰექტარ ფართობზე |

XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა:

| | |
|---|---|
| 1959 წელს | —27,6 ცენტნერი ჰექტარზე |
| 1960 წელს | —31,9 „ „ |
| 1961 წელს | —39,3 „ „ |
| 1962 წელს | —42,1 „ „ |
| 1963 წელს | —23 ცენტნერი ჰექტარზე |

XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობა განა გამონაკლისია? ასეთი მეურნეობა ბევრია უკრაინაში. კიევის ოლქის ბელაია ცერკოვის საწარმოო სამმართველოს 9 იანვრის სახელობის საბჭოთა მეურნეობას მარცვლეულის ნათესებში შეაქვს 3-4 ცენტნერი მინერალური სასუქები, შაქრის ჭარხლის პლანტაციებში — 9-10 ცენტნერი. მიღებულია მოსავალი:

| | მარცვლეული კულტურები | შაქრის ჭარხალი |
|---|---|---|
| 1958 წელი | 30 ცენტნერი | 312 ცენტნერი |
| 1959 წელი | 35,7 „ | 232 „ |
| 1960 წელი | 26 „ | 288 „ |
| 1961 წელი | 38,8 „ | 339 „ |
| 1962 წელი | 31,2 „ | 301 „ |

საშუალოდ ხუთი წლის განმავლობაში მარცვლეულის მოსავალი ჰექტარზე 32,3 ცენტნერია, შაქრის ჭარხლისა — ჰექტარზე 294 ცენტნერი.

საშემოდგომო ხორბლის მოსავალმა კი ამ საბჭოთა მეურნეობაში ხუთი წლის მანძილზე საშუალოდ ჰექტარზე 36,5 ცენტნერი შეადგინა.

შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც უკრაინის სხვადასხვა ზონიდან. ასეთი მეურნეობანი საყრდენ-საჩვენებელ მეურნეობებად უნდა გადავაქციოთ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მათი გამოცდილების მიხედვით უნდა ვასწავლოთ მახლობელ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

სამხრეთ უკრაინისა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის გვალვიან რაიონებში გულმოდგინედ უნდა გავერკვეთ, თუ რისი მოყვანაა უფრო სასარგებლო სამარცვლედ — საშემოდგომო ხორბლისა თუ სიმინდისა. როგორი მიდგომა უნდა იყოს აქ. რომელ კულტურას მივაკუთვნოთ პრიორიტეტი? რა თქმა უნდა, იმას, რომელიც მეტ მარცვალს იძლევა ნაკლები შრომის დახარჯვით. გარკვეულ პირობებში, როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები 15-20 ცენტნერ ხორბალს იღებდნენ, ხოლო სიმინდს 30-40 ცენტნერს, საჭირო იყო ბრძოლა სიმინდის ნათესების გაფართოებისათვის. ახლა, როცა გაჩნდა შესანიშნავი ჯიშის ხორბალი „უფხო-1“, „მირონოვკა-808“ და სხვა, რომლებიც ჰექტარზე 40-50 და 60 ცენტნერ მარცვალსაც კი იძლევიან, მდგომარეობა იცვლება, ხოლო სარწყავ მიწებზე „უფხო-1“ ხორბალმა მოგვცა 74 ცენტნერი მოსავალი ჰექტარზე. თუ სიმინდი 40 ცენტნერ მოსავალს იძლევა და კოლმეურნეობა ამდენსავე ხორბალს იღებს, მაშინ ცხადია, რომ უფრო ხელსაყრელია ხორბლის თესვა.

ანგარიში უნდა გავუწიოთ იმასაც, რომ სიმინდს ხანგრძლივი ვეგეტაციის პერიოდი აქვს. მისი მარცვლის დაპურების დრო ხშირად ემთხვევა ცხელი ქარების ქროლის დროს და მაშინ სიმინდი სრულფასოვან მოსავალს არ იძლევა. ასეთ შემთხვევებში საშემოდგომო ხორბალი, საშემოდგომო ქერი, ბარდა უფრო მოსავლიანია. და ეს სავსებით გასაგებია. ხორბალს, ბარდასა და ქერს უფრო ხანმოკლე ვეგეტაციის პერიოდი აქვთ, უკეთ იყენებენ შემოდგომისა და გაზაფხულის ტენს და ცხელი ქარების დაწყებისათვის ისინი ჩვეულებრივ მწიფდებიან.

ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს: რა მოხდა, რატომ არის, რომ ხრუშჩოვი, რომელიც ასე მოითხოვს სიმინდის ნათესების დანერგვას, დღეს თითქოს უკან იხევს? საქმე ეს როდია, ამხანაგებო. დღესაც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სიმინდი მძლავრი კულტურაა, რომელსაც შეუძლია ბევრ ზონაში ხელშემწყობ პირობებში მოგვცეს მარცვლის ყველაზე უხვი მოსავალი, ყველაზე მეტი სასილოსე მაწიერი საკვები.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სათაყვანოს როდი ვხდით სამარადისოდ რომელიმე ერთ კულტურას, რომ არ ვაპირებთ მასზე ვლოცულობდეთ. ჩვენ არ უნდა ვაძლევდეთ პრიორიტეტს რომელიმე ერთ კულტურას. პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს მოსავალს. ის კულტურა, რომელიც გარკვეული ზონის პირობებში იძლევა ყველაზე უხვ მოსავალს, უკეთ ანაზღაურებს დახარჯულ შრომას, სწორედ ეს კულტურა მეურნეობაში უნდა იყოს პირველი კულტურა. არ უნდა გვეშინოდეს და უნდა გადავსინჯოთ სტრუქტურა და, თუ საჭიროა, შევამციროთ სიმინდის ნათესები გვალვიან ზონაში უხვმოსავლიანი ჯიშების ხორბლის, ქერის, ბარდის, სორგოს ნათესების სასარგებლოდ. სამხრეთის სარწყავ მიწებზე არას ვამბობ. სარწყავ მიწაზე სიმინდი ყველაზე უხვ მოსავალს იძლევა.

სიმინდი შეიძლება იყოს ყველაზე მოსავლიანი კულტურა ვინიცის, ხმელნიცკისა და სხვა ოლქებში, სადაც საკმაო ტენიანობაა. იქ მთელ რიგ მეურნეობებში სიმინდის მოსავალი აღწევს 80 და მეტ ცენტნერ მარცვალს ჰექტარზე და, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია მისი მოყვანა. ტერნოპოლის, აგრეთვე დასავლეთ უკრაინის სხვა ოლქებშიც თუ მოვუვლით სიმინდს, იგი ისეთ უხვ მოსავალს მოგვცემს, რომ ვერავითარი სხვა კულტურა ვერ გაუწევს მეტოქეობას.

აქ არ ვეხებით სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების საკითხებს. უკრაინა, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უნდა აძლევდეს საჭირო რაოდენობით შაქრის ჭარხალს, მზესუმზირას, წიწიბურას, ლობიოს, ხორცს, რძეს.

უკრაინის ხელმძღვანელთა გაანგარიშებით, 1970 წლისათვის რესპუბლიკა შაქრის ჭარხლის წარმოებას გაადიდებს 50 მილიონ ტონამდე და ჩვენს ქვეყანას მისცემს დაახლოებით 7 მილიონ ტონა შაქარს.

ამხანაგებო! ისევე როგორც წინათ, ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მარცვლის წარმოების გადიდებას ყაზახეთში. ამ რესპუბლიკას შეუძლია სახელმწიფოს ყოველწლიურად მისცეს ერთი მილიარდი ფუთი მარცვალი და მეტიც. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას. იქ, სადაც ეს საჭიროა, უნდა გვქონდეს მოუთესავი ანეული. უნდა გავითვალისწინოთ მოწინავე მეურნეობებისა და საცდელი სადგურების გამოცდილება ყამირის რაიონებში, რომელიც ცხადყოფს, რომ მინიმალური რაოდენობით ფოსფოროვანი სასუქების შეტანა საგრძნობლად ზრდის მოსავალს.

რა თქმა უნდა, ყაზახეთის, განსაკუთრებით ყამირის მხარის მიწის უდიდეს მასივებს, რომლებზეც დათესილია მარცვლეული კულტურები, ვერ უზრუნველვყოფთ სასუქებით სწრაფად და სრულად. მაგრამ აქაც უნდა გამოვძებნოთ ის რაიონები, რომლებიც მოგვცემენ ყველაზე დიდ ეფექტს მინერალური სასუქების გამოყენების შედეგად. დავიმოწმებ აკადემიკოს ვ. პ. კუზმინის ბარათს სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი ამ საკითხზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყამირის მხარეში ყველაზე დიდ სარგებლობას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ ფოსფოროვან სასუქებს შევიტანთ ყამირის მხარის ტყე-ველიან შავნიადაგიან ნაწილში და ველიანი ნაწილის წაბლა ნიადაგებში. ტენით შემოდგომა-ზამთრის კარგი უზრუნველყოფის წლებში სასუქების შეტანის მნიშვნელობა ძლიერ იზრდება. მაგალითად, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. კუზმინი, უკვე ახლა ჩანს, რომ 1963-1964 წლები შემოდგომის პირობებით მეტად პერსპექტიულია, ხელსაყრელია იმისათვის, რომ სასუქები შევიტანოთ ყამირის მხარის მთელ რიგ რაიონებში.

სასუქების წარმოების ზრდის კვალობაზე სულ უფრო მეტად უნდა გავითვალისწინოთ ყამირის საჭიროებებიც. 2 ცენტნერითაც რომ გადიდდეს მოსავალი 17 მილიონ ჰექტარ ნათესზე სასუქების შეტანის პირობებში, ყამირის მხარეში მარცვლის მოსავალი გადიდდება 200 მილიონ ფუთზე მეტით.

ქიმიის განვითარების კვალობაზე იცვლება ჩვენი შეხედულებანი **ბალტიისპირეთის რესპუბლიკების** სოფლის მეურნეობის შესაძლებლობებზეც. ამ რესპუბლიკების წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ცნობილია. მაგრამ სოფლის მეურნეობის დარგში ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები მთლიანად როდი იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს.

ახლა მომწიფდა პირობები რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს დავუსახოთ ამოცანა — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით მიაღწიონ სკანდინავიის ქვეყნების, კერძოდ, ისეთი ქვეყნის დონეს, როგორიც არის, მაგალითად, შვეცია. ჰავისა და ნიადაგების პირობები მათ დაახლოებით ერთნაირი აქვთ. მაშასადამე, თუ შევქმნით თანაბარ პირობებს სასუქებისა და ენერგოაღჭურვილობის მხრივ, უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს შეუძლიათ ჰქონდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დონე არა ნაკლები, არამედ უფრო მაღალიც კი, ვიდრე აქვთ შვეციასა და ჩრდილოეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანას.

რას ნიშნავს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისათვის მიაღწიონ პროდუქციის წარმოების მიხედვით, მაგალითად, შვეციისა და ფინეთის დონეს? მომყავს ეს ორი ქვეყანა, რადგან მათ ერთად დაახლოებით ისეთი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სახნავის ფართობი აქვთ, როგორიც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს. მოვიყვან მონაცემებს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის წარმოების დონის შესახებ მთლიანად და შვეციისა და ფინეთის შესაბამის დონეს, აგრეთვე მთლიანად. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში შვეციისა და ფინეთის მაჩვენებლები დაახლოებით თანაბარია, ხოლო მარცვლეულის მოსავალი შვეციაში რამდენადმე მეტია, ვიდრე ფინეთში.

| | ბალტიისპირეთის რესპუბლიკები | შვეცია და ფინეთი |
|---|---|---|
| სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი | 8.475 ათასი | 7.207 ათასი |
| აქედან სახნავი (ათასი ჰექტარი) | 5.244 | 6.245 |
| სათესი ფართობები | 4.835 | 5.946 |
| აქედან მარცვლეული კულტურები | 1.740 | 2.551 |
| მოსავლიანობა ცენტნერობით ჰექტარზე: | | |
| მარცვლეული კულტურები | 8,6 | 23,1 |
| კარტოფილი | 77 | 140 |
| მარცვლის საერთო მოსავალი (ათასი ტონა) | 1.496 | 5.891 |
| ძროხის სულადობა — ათასი სული | 1.680 | 2.456 |
| ძროხების რაოდენობა ას ჰექტარზე | 19 | 34 |
| საშუალო წველადობა ძროხაზე კილოგრამობით | 2.351 | 3.095 |
| წარმოებულია (ათასი ტონა) | | |
| ხორცი | 482 | 553 |
| რძე | 3.987 | 7.602 |
| წარმოებულია ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე (ცენტნერობით) | | |
| ხორცი | 56 | 77 |
| რძე | 470 | 1.055 |

წარმოების დონის განსხვავება, როგორც ხედავთ, მეტად სერიოზულია. უახლოეს წლებში ბალტიისპირეთის რესპუბლიკები საჭირო რაოდენობით მიიღებენ სასუქებს და ეს სასუქები უნდა გამოიყენონ გონივრულად, ყაირათიანად, რომ მიაღწიონ ასეთ მაჩვენებლებს და გადააჭარბონ მათ.

პლენუმისათვის რომ ვემზადებოდით, ჩვენ ვთხოვეთ რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, მინისტრთა საბჭოებს მეცნიერებთან და სპეციალისტებთან ერთად შეესწავლათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ასეთი ზრდის შესაძლებლობანი და შემოეტანათ თავიანთი წინადადებანი. აქ უნდა აღვნიშნო, რომ, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ ამ რესპუბლიკების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ უახლოეს წლებში მარცვლეულის მოსავლიანობით, ხორცისა და რძის წარმოებით მიაღწიონ შვეციისა და ჩრდილოეთის სხვა ქვეყნების დონეს. მართალია, მათ ამასთან დასვეს საკითხი სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდების გაძლიერების შესახებ. ეს მოთხოვნები სამართლიანია.

თუ სასუქები ექნა, უფრო დიდი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ ბელორუსიის სს რესპუბლიკასაც.

ბელორუსმა ამხანაგებმა მომცეს ზოგიერთი მაგალითი. მოვიყვან ერთ მაგალითს. ლუბანის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობას „ბელორუსიის სსრ 10 წელი“ ჰექტარზე შეაქვს 5 ცენტნერამდე მინერალური სასუქები.

უკანასკნელ ათწლეულში მოსავლიანობამ საბჭოთა მეურნეობაში შეადგინა:

| | |
|---|---|
| ქერი | — 22 ცენტნერი ჰექტარზე |
| კარტოფილი | — 193 ცენტნერი ჰექტარზე |
| შაქრის ჭარხალი (უკანასკნელ ორ წელიწადში) | — 296 ცენტნერი ჰექტარზე |

ერთ ცენტნერ შეტანილ სასუქზე ამ საბჭოთა მეურნეობაში მიღებულია მოსავლის შემდეგი მატება:

| | |
|---|---|
| ქერი | — 4,7 ცენტნერი |
| კარტოფილი | — 41,2 ცენტნერი |
| შაქრის ჭარხალი | — 63,0 ცენტნერი ჰექტარზე |

ეს მაგალითი მომყავს, რა თქმა უნდა, არა იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვს და რა ეფექტიანობა აქვს სასუქებს. ეს ყველასათვის ცნობილია. საქმე ეხება სულ სხვას, იმას, რომ ბელორუსიას შეუძლია უახლოეს წლებში გაადიდოს მარცვლეული კულტურების, სელის, კარტოფილის, ჭარხლის მოსავლიანობა და აიყვანოს იგი რესპუბლიკის მოწინავე მეურნეობათა დონემდე. ეს რეალური ამოცანაა და იგი უნდა გადაწყვიტოს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ. ამასთან, ამხანაგებო, მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში უნარიანად უნდა გამოვიყენოთ სასუქები, საუკეთესო ჯიშების მარცვლეული კულტურები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ავამაღლოთ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ოსტატობა.

ამხანაგებო, ჩვენ განვიხილავთ მინერალური სასუქების წარმოების ზრდის დიდ პროგრამას. ამ პროგრამის განხორციელებას რამდენიმე წელი დასჭირდება. პარტია ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ მოკლე ვადაში აშენდეს ათობით ახალი ქარხანა, შეიქმნას ქიმიური მრეწველობის ნედლეულის ბაზა.

ამასთან ერთად უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ეფექტიანად იყოს გამოყენებული თვითეული ტონა, თვითეული კილოგრამი მინერალური სასუქი. ჩვენი ქვეყანა ახლა უკვე ცოტა სასუქებს როდი აწარმოებს. 1963 წელს სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი იყო 15,9 მილიონი ტონა, ხოლო 1964 წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ დაახლოებით 22 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს. ეს, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების თვალსაზრისით საკმარისი როდია, მაგრამ არც ისე ცოტაა, რომ ვერ მივიღოთ მოსავლის დამატებითი მატება.

**ამიტომ სასუქების უფრო ეფექტიანი გამოყენების ამოცანა ამჟამად ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანია მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში.**

სამწუხაროდ, ჩვენში დამკვიდრდა არასწორი პრაქტიკა მინერალური სასუქების ცოტ-ცოტად განაწილებისა ყველასათვის. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მოვუღოთ ბოლო ასეთ პრაქტიკას, მივაღწიოთ იმას, რომ 1964 წელს და შემდგომ წლებში უფრო ეფექტიანად იყოს გამოყენებული მინერალური სასუქები. საწარმოო სამმართველოებმა უნდა შეისწავლონ ნიადაგის რუკები, მეტეოროლოგიური პირობები, უნდა იცოდნენ ნალექების რაოდენობა და ის, თუ როგორ რეაგირებას ახდენენ მარცვლეული კულტურები, განსაკუთრებით ხორბალი და ზოგიერთი სხვა კულტურა, მინერალურ სასუქებზე, უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, **რომ მინერალური სასუქები ეძლეოდეთ მეურნეობებს როგორც წახალისება და დარწმუნებული ვიყოთ, რომ სასუქების მიღების შემდეგ, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა გაადიდებს მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებას და სახელმწიფოსათვის მიყიდვას.**

უნდა გამოიყოს მინერალური სასუქების სრული ნორმა ტექნიკური კულტურებისათვის.

უნდა მოვიფიქროთ ისიც, თუ როგორ გამოვიყენოთ რაციონალურად ის 10 მილიონი ტონა სასუქები, რაც 1964 წელს გამოიყოფა მარცვლეული კულტურებისათვის, აქედან 7 მილიონი ტონა 1964 წლის მოსავლისათვის. რასაკვირველია, სასუქები უნდა გაიგზავნოს იმ რაიონებში, სადაც შეიძლება ყველაზე დიდი ეფექტის მიღება — ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ-შავნიადაგიან ოლქებში, უკრაინის ტყევლიან რაიონებში, აგრეთვე სხვა რესპუბლიკებში, სადაც დიდი იქნება სასუქების გამოყენების ანაზღაურება.

**თუ გამოვიჩენთ მეტ ორგანიზებულობასა და სიბეჯითეს, მარცვლეული კულტურებისათვის სასუქებს გამოვიყენებთ ყველაზე ხელსაყრელ რაიონებში, უკვე მომავალ წელს ჩვენი ქვეყანა მიიღებს დიდ ეფექტს. ჩვეულებრივ ანგარიშობენ, რომ ტონა მინერალური სასუქი იძლევა მარცვლის 2-3 ტონა მატებას. ამრიგად, 7 მილიონი ტონა მინერალური სასუქები, რასაც შევიტანთ საშემოდგომო ხორბლის, სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების ნათესებში, შესაძლებლობას მოგვცემს დამატებით მივიღოთ 14-20 მილიონი ტონა, ანუ 850 მილიონი — 1 მილიარდ 200 მილიონი ფუთი პური.**

აქ მოყვანილი მაგალითები და გაანგარიშებანი გვარწმუნებენ, რომ მინერალური სასუქების წარმოებისა და გამოყენების საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს პარტიამ.

ამხანაგებო! მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ სოფლის მეურნეობის მშრომელთა შრომის ანაზღაურებაში გათანაბრების წინააღმდეგ. მატერიალური დაინტერესება იყო და არის იმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტიმული, რომ შრომის მცირე დანახარჯებით მივიღოთ უფრო უხვი მოსავალი. უკეთესი, უფრო ნაყოფიერი შრომისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მეტი უნდა მიიღონ.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა წარმოებისა და დამზადების სამინისტროების მოვალეობა მარტო ის კი არ არის, რომ განსაზღვრონ რაიონები და ოლქები, სადაც მარცვლეული კულტურებისათვის გამოყოფილი სასუქები ყველაზე დიდ ანაზღაურებას მოგვცემს, არამედ ის, რომ შეიმუშაონ დამატებითი ღონისძიებანი იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ბრიგადების მატერიალური წახალისებისათვის, რომლებიც სასუქების მიღების შემდეგ მიიღებენ მოსავლის უდიდეს მატებას. ამ შემთხვევაშიც მატერიალური წახალისების ზომას შეუძლია შეასრულოს უმნიშვნელოვანესი როლი მარცვლის მოსავლიანობის გადიდებაში, მისი ღირებულების შემცირებაში.

* * *

მაგრამ არ უნდა დაველოდოთ, ამხანაგებო, როდის შეიმუშავებს მატერიალური წახალისების ღონისძიებებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამის გაკეთება სამინისტროში ჩვენი ქვეყნის ყველა ზონისათვის ერთობ ძნელია, თითქმის შეუძლებელია. საჭიროა, რომ რესპუბლიკურმა, სამხარეო და საოლქო პარტიულმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა და საწარმოო სამმართველოებმა, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შეიმუშაონ წახალისების ისეთი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც გაითვალისწინებენ მოწინავე გამოცდილებას, უფრო მაღალ ანაზღაურებას შრომის საუკეთესო შედეგებისათვის. ასეთი ღონისძიებანი წაახალისებენ კარგად მომუშავეებს და უბიძგებენ იმათ, ვინც ჩამორჩება.

აქ არ შევეხებივართ **სარწყავი მიწათმოქმედების პრობლემებს.** პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაავალეს შეიმუშაოს სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების, სარწყავ მიწებზე მარცვლის, ბამბისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდების ვრცელი პროგრამა. წინასწარი გაანგარიშებანი ცხადყოფენ, რომ შუა აზიის რესპუბლიკებში და ყაზახეთში, რუსეთის ფედერაციაში უკრაინის სს რესპუბლიკასა და მოლდავეთში უახლოეს წლებში შეიძლება დამატებით მოვრწყათ 2 მილიონ 800 ათასი ჰექტარი ახალი მიწები.

უნდა გამოვნახოთ იმის შესაძლებლობა, რომ სარწყავ მიწებზე ვაწარმოოთ დაახლოებით 2 მილიარდი ფუთი მარცვალი, განსაკუთრებით ბრინჯი, სიმინდი, საშემოდგომო ხორბალი. ეს იქნება კარგი სადაზღვევო ფონდი, იმის საიმედო გარანტია, რომ ამინდის პირობების მიუხედავად მოვიყვანთ მარცვალს გარკვეული რაოდენობით. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა შესაძლებლობათა ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების საკითხებზე. ირიგაცია მთელი ხალხის უმნიშვნელოვანესი საქმე ხდება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი
Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 8-20-48, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-78-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 01248